ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გაზეთი გამოდის 1927 წლიდან

ალმა მატერ
უნივერსიტეტი

17 სექტემბერი, 2018 | ორშაბათი, №7 (2222)

მილოცვა უნივერსიტეტელებს

მამუკა ბახტაძე, საქართველოს პრემიერ-მინისტრი:

მთელი გულით გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას. განსაკუთრებით ამაღელვებელია ეს დღე პირველკურსელებისთვის, რომლებსაც დღეს უნივერსიტეტმა კარი გაუღო. ვულოცავ მათ საინტერესო სტუდენტური ცხოვრებისა და სიახლეებით სავსე წლების დაწყებას.

განსაკუთრებული პასუხისმგებლობაა იმ უნივერსიტეტში სწავლა, რომელიც ივანე ჯავახიშვილის სახელს ატარებს და რომლის კედლებშიც ჩვენი სახელოვანი მეცნიერები მოღვაწეობდნენ. სწორედ მათ ნაშენ ფუნდამენტზე დგას დღეს ჩვენი უნივერსიტეტი და იმ საუკეთესო ტრადიციების გამგრძელებელია. ჩემთვის დიდი პატივია, რომ მეც ამ უნივერსიტეტის კედლებში მივიღე განათლება.

წელს უნივერსიტეტის 100 წლის იუბილე საპატიოდ აღვნიშნეთ, რომელიც იუნესკოს ეგიდით მთელ მსოფლიოში მიმდინარეობდა.

დღეს უნივერსიტეტის სტუდენტებს გაქვთ საშუალება — მიიღოთ საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი ცოდნა და გამოიმუშაოთ უნარები, რაც მომავალში მნიშვნელოვნად განაპირობებს ქართული ინტელექტუალური რესურსის კონკურენტუნარიანობას. სწორედ განათლებული ახალგაზრდობა ჩაყენებს საქართველოს განვითარებული და პროგრესული ქვეყნების რიგში.

კიდევ ერთხელ გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას ყველას — სტუდენტებს, უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლებს!

ახალი სასწავლო წელი თსუ-ში

რექტორის მილოცვა პირველკურსელებს

ახალი სასწავლო წლის დაწყებას განსაკუთრებით პირველკურსელებს ვულოცავ! ეს არის საიუბილეო, მე-100 ნაკადი... გავიმეორებ ჩვენ დევიზს, რომ „ჩვენ ვართ 100 წლის ახალგაზრდები“, ვიყურებით მომავლისკენ და იმედია, ბევრი სტუდენტი გახდება იმ დიდი გუნდის წევრი, რომელთაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულები ჰქვიათ. ისინი არიან 300 ათასზე მეტნი... აქ ბევრი საამაყო მამულიშვილი აღიზარდა!

ყველას საინტერესო სტუდენტურ ცხოვრებას ვუსურვებ.

გიორგი შარვაშიძე, თსუ-ის რექტორი

ნომერში

■ რა განაპირობებს თსუ-ის ლიდერობას

გვ. 2

■ 100 წლისთავზე თსუ-ში – რა შედეგებით ვხვდებით ახალ სასწავლო წელს? გვ. 3

■ საზღვარგარეთ სწავლის შესაძლებლობა – ის, რაც მიზნის მისაღწევად გვაინტერესებს გვ. 4

■ „მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი – 2018“ თსუ-ის 100 წლის იუბილეს ეძღვნება გვ. 14

■ თსუ-მ უპირობო ავტორიზაცია მიიღო გვ. 5

■ რა სერვისებს გვთავაზობს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა? გვ. 6

■ თსუ-ის აბიტურიენტთა მომზადების ცენტრში სწავლა სტუდენტობის გარანტიაა გვ. 7

■ შემოქმედებითობის გამოვლენისა და დაფინანსების შანსი სტუდენტებს – სტუდენტური პროექტების წარდგენა 5 ოქტომბრამდეა გვ. 12

■ ანგელა მერკელის მკაფიო გზავნილები მსოფლიოს გვ. 8

■ თამარ ჯობავა: უნდა შეხედო საკუთარ თავს, როგორც მოყვასს გვ. 13

> გრანტი მიიღო ჩარიცხული სტუდენტების 52 პროცენტმა, ანუ ნახევარზე მეტს აქვს სახელმწიფო გრანტი – ეს მიუთითებს იმაზე, რომ ჯარგი სტუდენტობა გვყავს, როგორც ყოველთვის.

ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების მიხედვით, საქართველოში ყველაზე მაღალრეიტინგული პირველკურსელი დემურ მერკვილაძე თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პირველკურსელია. გვ. 5

რა განაპირობებს თსუ-ის ლიდერობას

მაია ტორაძე

2018-2019 *სასწავლო წელს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ლიდერია აბიტურიენტთა პირველი არჩევანითაც და ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობითაც. სულ, მიმდინარე სასწავლო წელს 4432 აბიტურიენტი გახდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველსემესტრელი სტუდენტი, რაც 2017-2018 სასწავლო წელს ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობაზე 30%-ით მეტია (გასულ წელს თსუ-ის სტუდენტი 3409 აბიტურიენტი გახდა). ამასთან, არაპროფილურ სახელმწიფო უნივერსიტეტებს შორის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დარჩა ყველაზე ნაკლები (262) ვაკანტური ადგილი გამოცხადებულ ვაკანსიებთან შედარებით.*

მიხეილ კაპანაძე

მიხეილ (მიხა) კაპანაძემ პირველი არჩევანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე შეაჩერა და 100-პროცენტიანი დაფინანსებით თსუ-ის პირველკურსელი გახდა. სპეციალობა და უნივერსიტეტი შემთხვევით არ შეურჩევია ჯერ კიდევ საჯარო სკოლის VIII კლასიდან ოცნებობდა, რომ სწორედ ამ უნივერსიტეტში მიეღო იურიდიული განათლება. როგორც თავად ამბობს, შრომა დაუფასდა და ახლა ბედნიერია, რომ რამდენიმე მეგობართან ერთად შეუდგება სწავლას. კითხვაზე რატომ აირჩია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, მიხეილი ამბობს, რომ სხვა უნივერსიტეტზე არც უფიქრია: „ამ უმაღლეს სასწავლებელს ისეთი რეპუტაცია და პრესტიჟი აქვს ჩემს ოჯახში და გარემოცვაში, რომ სხვა არჩევანი არც მქონია. ვისაც კი შეხება ჰქონია ამ უნივერსიტეტთან უფროსები თუ ჩემი მეგობრები, რომლებიც უკვე თსუ-ის იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლობენ, მირჩევდნენ, რომ სწორედ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი შემომეხაზა, რადგან სტუდენტებს მაღალი დონის იურიდიულ განათლებას სთავაზობენ. მეც ვფიქრობ, რომ ეს ყველაზე ძლიერი ფაკულტეტია საქართველოში და ის ცოდნა, რომლითაც უნივერსიტეტში მოვდივარ, კარგი საფუძველი იქნება — წარმატებული სტუდენტი გავხდე“, — ამბობს მიხეილი და მომავლის გეგმებსაც უნივერსიტეტის პრესტიჟულობასა და უცხოური გაცვლითი პროგრამების მრავალფეროვან არჩევანზე ამყარებს. მას სურვილი აქვს მე-3 კურსიდან ერთი სემესტრი რომელიმე უცხოურ უნივერსიტეტში გაატაროს, ხოლო მაგისტრატურაში საზღვაო სამართალს დაეუფლოს.

ამანდა ხვედელიძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი პირველი არჩევანი იყო პირველკურსელი **ამანდა ხვედელიძისთვისაც.** მან ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი აირჩია და ფიქრობს, რომ გაუმართლა, რადგან თსუ-ის სტუდენტი გახდა: „ბავშვობიდანვე განსაკუთრებული სიყვარულისა და მოწიწების გრძნობა მქონდა საუნივერსიტეტო განათლების ამ ძირძველი უპირველესი კერისადმი. შესაბამისი ლიტერატურის მოძიებით ვეცნობოდი უნივერსიტეტის დამაარსებელთა და აქ მოღვაწე სწავლულთა საინტერესო ცხოვრებას. მართალია, დიდი არჩევანი გვაქვს სასწავლებლებისა და სპეციალობებისა, მაგრამ ჩემი ინტერესის ყველა გზა მუდამ უნივერსიტეტისკენ იყრიდა თავს. უნდა გითხრათ, რომ სკოლის ბოლო წლებში ჩემს სამაგიდო წიგნებად იქცა გაზეთ „თბილისის უნივერსიტეტის“ რედაქციის მიერ გამოცემული კრებულები, რომლებშიც უნივერსიტეტის დიდ მოამაგეთა ღვაწლი შთამბეჭდავადაა გაანალიზებული. უნივერსიტეტისაკენ სწრაფვის სურვილი გამიძლიერა მიმდინარე წელს ესეების კონკურსში — „რატომ უნდა გავუფრთხილდეთ მშობლიურ ენას“ — მონაწილეობამ და 14 აპრილს უნივერსიტეტში გამართულმა გამარჯვებულთა დაჯილდოების ცერემონიალმა, როცა პირადად გავიცანი აქ მოღვაწე ღირსეული პიროვნებები. ჯერაც არ გამნელებია ის ემოცია, როცა, თსუ-ის 100 წლის იუბილეს აღსანიშნავი თეთრი მაისურით დასაჩუქრებულმა, პირველი კორპუსის კიბეზე, სხვებთან ერთად, ჰაერში ჰელიუმის ბუშტი გავუშვი წარწერით: „არა — ბარბარიზმებს!“ და იქვე ამ უმნიშვნელოვანესი ღონისძიების ორგანიზატორ პროფესორ თინათინ მარგალიტაძესთან სამახსოვრო ფოტოც გადავიღე. დღეს უბედნიერესი ვარ, რადგან საუკეთესო ოცნება ამისრულდა და დიდი ტრადიციების მქონე სასწავლებლის ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი გავხდი 50%-იანი დაფინანსებით. ამ ბედნიერებას კარგი სწავლითა და არჩეულ პროფესიაში საფუძვლიანი წვდომის სურვილით განვამტკიცებ“. ამანდასაც დიდი გეგმები აქვს და ისიც ფიქრობს, რომ უნივერსიტეტში მიღებული განათლება დაეხმარება მიზნების მიღწევაში.

წარმატებაზე მეტყველი ციფრები

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა წელს 67 საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე გამოაცხადა მიღება. ყველაზე მაღალი კონკურსი თსუ-ში იყო საერთაშორისო ურთიერთობებზე, სამართალზე, ფსიქოლოგიაზე, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა მიმართულებებზე, ისტორიის, ქართული ფილოლოგიის, ეკონომიკის მიმართულებებზე, ქართულ ენაში მომზადების პროგრამებზე, რაც ყველაზე მოთხოვნად მიმართულებებად განიხილება.

თსუ-ში მინიმალური კომპეტენციის საშუალო ზღვარია 40%. ყველაზე მაღალი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი თსუ-მ სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამებზე გამოაცხადა — 75%.

თსუ-ში მოქმედებს 240-მდე აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამა, მათ შორის 22 უცხოენოვანი. უნივერსიტეტში სტუდენტებს ემსახურება 85-მდე სასწავლო ლაბორატორია, მათ შორის ფაბლაბი, 2 სმარტლაბი, ბლუმბერგის ლაბორატორია და სხვა; 8 რესურსცენტრი; 9 კომპიუტერული კლასი; მულტიმედიაცენტრი; სახვითი ხელოვნების სტუდია, მუზეუმი უნიკალური ექსპონატებით; საუნივერსიტეტო არქეოლოგიური ბაზა გრაკლიან გორაზე; ბიბლიოთეკა დაახლოებით 8 მილიონი წიგნადი ფონდით; 9 სამკითხველო დარბაზი; უნივერსიტეტის სტუდენტებს აქვთ წვდომა საერთაშორისო სამეცნიერო რესურსებზე: Elsevier; JSTOR; EBSCOHost; Springer; HINARI; Cambridge University Journals; GALLICA და ა.შ.; აქვთ სტუდენტურ პრაქტიკასა და სასწავლო ეთნოლოგიურ, არქეოლოგიურ, გეოლოგიურ ექსპედიციებში მონაწილეობის შესაძლებლობა; თსუ-ის სტუდენტების შემოქმედებითი და სპორტული შესაძლებლობების რეალიზებას ემსახურება თეატრალური სტუდია, სპორტული სექციები, მუსიკალური და ქორეოგრაფიული ჯგუფები.

საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო ახალ რეგულაციებს შეიმუშავებს

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო შეიქმნა. დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი 15 წევრიანი ორგანო თსუ-ის აკადემიური საბჭოს დადგენილებით შეიქმნა და მისი მთავარი მიზანი თსუ-ში დისერტაციების ხარისხის ამაღლებაა. სადისერტაციო საბჭო უნივერსიტეტის ფაკულტეტებიდან წარდგინებით მიღებულ დისერტაციებს განიხილავს და შემდგომ მსვლელობას აძლევს. საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო 2 წლის ვადით ირჩევა.

14 ივნისს საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭოს პირველი სხდომა გაიმართა, რომელზეც საბჭოს თავმჯდომარედ თსუ-ის ასოცირებული პროფესორი ქეთევან ხუციშვილი აირჩიეს. მისი თქმით, სადისერტაციო საბჭო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში სამეცნიერო საქმიანობის განვითარებას შეუწყობს ხელს.

„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამეცნიერო აქტივობას ხარისხი არასდროს აკლდა, მაგრამ ჩვენ გვინდა, რომ სტანდარტები კიდევ უფრო გაძლიერდეს. საბჭოს უფლებამოსილებაში შედის დისერტაციების გაცნობაც — რამდენად შეესაბამება ისინი სტანდარტებს. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა პლაგიატის შემთხვევებს და სხვა დარღვევებს“, — განაცხადა სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ.

პირველ სხდომაზე სადისერტაციო საბჭომ ახალ რეგულაციებსა და წესებზე იმსჯელა, ასევე დაამტკიცა დაცვის კომისიების შემადგენლობა.

ქეთევან ხუციშვილი

100 წლისთავზე თსუ-ში

გვესაუბრება თსუ-ის რექტორი გიორგი შარვაშიძე:

— წელს განსაკუთრებული წელია უნივერსიტეტისთვის — ვზეიმობთ 100 წლის იუბილეს... მთელი წლის განმავლობაში ტარდება ღონისძიებები, რომლებიც ეძღვნება ღირსშესანიშნავ თარიღს. უნივერსიტეტმა ერთი საუკუნის განმავლობაში ღირსეულად ატარა ქვეყნის უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის ფლაგმანის სახელი. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის ლიდერი არა მხოლოდ საქართველოში, არამედ კავკასიაშიც, რაც დასტურდება მრავალი რეიტინგით. ეს არის ერთადერთი უნივერსიტეტი რეგიონში, რომელიც მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების 2 პროცენტში შედის (N359,/The U.S. News&World Report - Best Global Universities Ranking (2017 წ.). თაიმსის რანჟირებითაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი არის საუკეთესო 1000-ეულში (Times Higher Education World University Rankings, N801 (2016 წ.). უნივერსიტეტის ფიზიკის მიმართულება კი შანხაის დარგობრივ რანჟირებაში 151-200-ე ადგილს იკავებს (2017 წ.). ანუ თსუ ერთადერთი უნივერსიტეტია ჩვენი რეგიონიდან, რომელიც მესამედ ხვდება ამ ძალიან პრესტიჟულ რანჟირებაში.

დღეს უნივერსიტეტში 7 ფაკულტეტი და 18 სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტია, რის ბაზაზეც მიმდინარეობს ინტენსიური სამეცნიერო კვლევები. ყოველწლიურად (და განსაკუთრებით ამ წელს) ინტენსიური იყო ჩვენი სამეცნიერო შედეგები: უნივერსიტეტში 200-ზე მეტი სამეცნიერო-კვლევითი პროექტი განხორციელდა; ჩვენი მეცნიერების, პროფესორების ავტორობით 500-ზე მეტი პუბლიკაცია გამოქვეყნდა იმპაქტ-ფაქტორიან გამოცემებში — ეს საკმაოდ კარგი მაჩვენებელია ჩვენი უნივერსიტეტისათვის.

აღსანიშნავია, რომ 180-ზე მეტი საერთაშორისო პარტნიორი უნივერსიტეტი გვყავს მსოფლიოს 50-მდე ქვეყანაში. ინტენსიურად ვმუშაობთ „ერაზმუს+“-ის პროგრამის მიმართულებითაც — „ერაზმუს+“-ის გაცვლით პროგრამებში მონაწილეობითაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ლიდერია. შედარებისთვის შემიძლია ვთქვა, რომ ჩვენ გვაქვს 121 განხორციელებული პროექტი, რაც ჯამურად იმაზე მეტია, ვიდრე მთელი ცენტრალური აზიის პროექტები — ერთად აღებული. ეს პროგრამები პროფესორებს, უპირველეს ყოვლისა, სტუდენტებს და, მათ შორის, ადმინისტრაციას აძლევს მობილობის სქემებში მონაწილეობის საშუალებას გაცვლითი პროგრამების ფარგლებში. ჩვენ, ასევე, ვაგრძელებთ თანამშრომლობას CERN-თან, სადაც მიმდინარეობს რამდენიმე ექსპერიმენტი — უპირველესად, ეს ეხება თშ-ის (ადრონული კოლაიდერი) ექსპერიმენტს. ინტენსიური თანამშრომლობა გვაქვს იულიხის კვლევით ცენტრთან, სადაც ამაჩქარებელზე მიმდინარეობს კვლევები. ჩვენი მეცნიერები აგრეთვე ჩართულნი არიან J-PARC ამაჩქარებელზე დაგეგმილ COMET ექსპერიმენტში. საერთაშორისო თანამშრომლობა არა მხოლოდ ჩვენი მეცნიერების იქ გაგზავნაში გამოიხატება, არამედ თავად უნივერსიტეტშიც ვქმნით ლაბორატორიებს საერთაშორისო კვლევებში მონაწილეობის მისაღებად. მაგალითად, უკვე თსუ-ში დაარსდა რამდენიმე ლაბორატორია — SMART|Lab, SMART|AtmoSim-Lab, რომელთა ბაზაზეც ჩვენი სტუდენტები კვლევის პროცესებში რეალურად არიან ჩაბმულნი. ეკონომისტებისთვის მუშაობს Bloomberg-ის ლაბორატორია, რაც კარგ შედეგებს იძლევა.

■ რა სიახლე გვაქვს?

ერთ-ერთი სიახლე გახლავთ ისიც, რომ ჩვენს რეგიონში ევროპის აკადემიის კვლევითი ჰაბი იხსნება და ძალიან საამაყოა, რომ ეს ჰაბი გაიხსნება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში. მის გახსნას ველოდებით 1 ოქტომბერს, რომელიც მიეძღვნება ინოვაციებისა და მეცნიერების მე-4 ფესტივალს. ამ ფესტივალს წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მასპინძლობს თსუ-ის 100 წლის იუბილესთან დაკავშირებით.

ბევრი რამ არის დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტების თვალსაზრისით. დავიწყეთ II კორპუსის ფუნდამენტური რეკონსტრუქცია. ამისთვის კიდევ ერთხელ მინდა მადლობა გადავუხადო საქართველოს მთავრობას, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს იმ მხარდაჭერისთვის, რაც მათ გამოიჩინეს თსუ-ის მიმართ. მეორე კორპუსში საკმაოდ შრომატევადი სამუშაოებია ჩასატარებელი, რადგან მისი აშენების დღიდან ამ კორპუსს კაპიტალური შეკეთება არ ღირსებია. იმედია, მალე გვექნება კიდევ ერთი თანამედროვე კორპუსი. გარდა ამისა, გვინდა დავიწყოთ დაანონსებული მშენებლობა დიდი საერთო საცხოვრებლისა, რომელიც არა მხოლოდ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, არამედ ბევრ სხვა სახელმწიფო უმაღლეს სასწავლებელს მოუხსნის სტუდენტების განთავსების პრობლემას. ამ მხრივაც თსუ თავის წვლილს შეიტანს საქართველოს სწორ პოზიციონირებაში საერთაშორისო საგანმანათლებლო ბაზარზე. ვფიქრობ, რომ „ისწავლე საქართველოში“ არის ძალიან ღირებული პროგრამა, რომელშიც უცხოელი სტუდენტების მონაწილეობის დონე იზრდება, თუმცა სერვისები გასაუმჯობესებელია. ამ კუთხით ჩვენ შემოგვეშველა 320 ადგილიანი ახალი საერთო საცხოვრებელი ლისზე და სასიხარულოა, რომ ეს ადგილი ძალიან პოპულარული გახდა საზაფხულო სკოლების ჩატარების თვალსაზრისითაც. წელს ლისის საერთო საცხოვრებელი არაერთ საერთაშორისო სტუდენტურ ბანაკსაც მასპინძლობდა. ამდენად, ეს ყოველივე გვაძლევს საშუალებას, რომ ინტენსიური გახდეს სტუდენტური ცხოვრება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში.

■ რა შედეგებით ვხვდებით ახალ სასწავლო წელს?

უნივერსიტეტმა ღირსეულად გაიარა ავტორიზაცია. ეს იყო პირველი შემთხვევა, როდესაც ჩვენს ქვეყანაში საერთაშორისო ავტორიზაცია ჩატარდა და უნივერსიტეტმა ამ რთული და შრომატევადი პროცესის ღირსეულად გავლა შეძლო, რაც ნამდვილად საამაყოა.

ეროვნული გამოცდების შედეგების თანახმად, უმაღლესი სასწავლებლების პირველი არჩევანით თსუ კვლავ ლიდერობს. 7945 სტუდენტმა გამოთქვა სურვილი, რომ გამხდარიყო ჩვენი სტუდენტი. სამწუხაროდ, ყველა მათგანი ვერ ჩაირიცხა, რადგან ჩვენი მოთხოვნები უფრო მკაცრია, ანუ თამასა უფრო მაღლაა, ვიდრე სხვა უნივერსიტეტებისა საქართველოში, მაგრამ, საბოლოოდ, თსუ-ის სტუდენტი გახდა 4500-მდე სტუდენტი, რაც 1000 სტუდენტით მეტია, ვიდრე გვყავდა შარშან.

აღსანიშნავია, რომ გრანტი მიიღო ჩარიცხული სტუდენტების 52 პროცენტმა, ანუ ნახევარზე მეტს აქვს სახელმწიფო გრანტი — ეს მიუთითებს იმაზე, რომ კარგი სტუდენტობა გვყავს, როგორც ყოველთვის.

ეროვნული გამოცდების შედეგების მიხედვით ყველაზე მაღალრეიტინგული სტუდენტი საქართველოში ისევ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტი გახდა. იგი ჩაირიცხა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე. ეს გახლავთ დემურ მერკვილაძე, რომელიც გეოლოგიის მიმართულებაზე დაიწყებს სწავლას.

ნინო კაკულია

სტაჟირების სახელმწიფო პროგრამის 2018 წლის შემოდგომის ნაკადზე მიღება დაიწყო

სტაჟირების სახელმწიფო პროგრამის 2018 წლის შემოდგომის ნაკადზე მიღება დაიწყო. აღნიშნულ პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად აუცილებელია სტაჟიორობის კანდიდატმა, 2018 წლის 5 სექტემბრიდან 5 ოქტომბრის ჩათვლით, მიმართოს შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებას და განაცხადოს წერილობითი თანხმობა სტაჟირების აღნიშნულ ნაკადში მონაწილეობის მისაღებად.

გაცნობებთ, რომ სტაჟირებაზე ელექტრონული რეგისტრაცია დაიწყება 2018 წლის 30 ოქტომბერს.

ამასთან, შეგახსენებთ, რომ სტაჟირების სახელმწიფო პროგრამაში მონაწილეობა შეუძლია:

■ პირს, რომელიც სწავლობს საქართველოს უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ბაკალავრიატის აკრედიტირებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე და არის დამამთავრებელი სემესტრის (ბოლო ორი სემესტრი) სტუდენტი;

■ ან სწავლობს სამაგისტრო, სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე და სწავლისას გამოირჩევა მაღალი აკადემიური მოსწრებით, რაც დასტურდება GPA-ით (მინიმუმ 3.0 შესაბამის საგანმანათლებლო დაწესებულებაში -ის გამოთვლის წესის არსებობის შემთხვევაში) ან საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებული შეფასებების საშუალო არითმეტიკულით (მინიმუმ (B) ძალიან კარგი 81-90%)

■ აგრეთვე პირი, რომელმაც დაასრულა ბაკალავრიატის, სამაგისტრო ან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა და საგანმანათლებლო პროგრამის დასრულებიდან გასული არ არის ორ წელიწადზე მეტი.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაუკავშირდით სტაჟირების სახელმწიფო პროგრამის ცხელ ხაზს: **ტელ: 2197755. http://stajireba.gov.ge**

საზღვარგარეთ სწავლის შესაძლებლობა

ის, რაც მიზნის მისაღწევად გვაინტერესებს

რით არის სხვა უმაღლესი სასწავლებლებისგან გამორჩეული ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი? — უმაღლესი განათლების სფეროში არსებულ კონკურენტუნარიან გარემოში ეს კითხვა ხშირად ისმის. თსუ-ში სწავლას მართლაც ბევრი უპირატესობა აქვს და ერთ-ერთი დამაჯერებელი არგუმენტი ჩვენი უნივერსიტეტის საერთაშორისო გაცვლითი პროგრამების სიმრავლეა. თსუ მიმზიდველია საზღვარგარეთის ქვეყნების პრესტიჟულ უნივერსიტეტებთან პარტნიორობით და კონტაქტების იმ მრავალფეროვნებითაც, რაც ჩვენს სტუდენტებს ევროპაში უმაღლესი განათლების მიღების საშუალებას აძლევს. საზღვარგარეთ სწავლა ძვირი სიამოვნებაა, თსუ კი გაცვლითი პროგრამებისა და „ერაზმუს+"-ის პროგრამის ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსებში გამარჯვებულ სტუდენტებს უფასოდ აძლევს ერთი სემესტრით ან ერთი წლით ევროპული განათლების მიღების შანსს. სწორედ ამ მოცემულობით დაინტერესებული სტუდენტების უკეთ ინფორმირებისთვის მივმართეთ თსუ-ის საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტს.

გვესაუბრება საგარეო ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი თეა გერგედავა.

— ახალი სასწავლო წლის სემესტრისთვის გაცვლითი პროგრამის ფარგლებში რამდენი სტუდენტი წავიდა საზღვარგარეთ სასწავლებლად?

— 2018-2019 წლის შემოდგომის სემესტრში 61 სტუდენტი „ერაზმუს"-ის საერთაშორისო კრედიტ-მობილობის პროგრამის ფარგლებში აგრძელებს სწავლას ევროპის სხვადასხვა ქვეყნებში, რასაც ევროკომისია აფინანსებს. ამას ემატება 36 სტუდენტი, რომლებიც ორმხრივი გაცვლითი პროგრამების ფარგლებში სწავლისთვის გაემგზავრნენ საზღვარგარეთის უმაღლეს სასწავლებლებში. ეს პროგრამები ჩვენს პარტნიორ უნივერსიტეტებთან გაფორმებული ხელშეკრულებით რეგულირდება.

— რა მონაცემებს უნდა ფლობდეს სტუდენტი, რომ ამ კონკურსებში გამარჯვების შანსი ჰქონდეს და სასწავლებლად ევროპაში გაემგზავროს?

— პირველ რიგში, კონკურსებში იმარჯვებენ ისეთი სტუდენტები, რომლებიც არიან მოტივირებულნი და საკუთარ თავში დარწმუნებულნი. მონაცემების შემფასებელი კომისია ყურადღებას აქცევს სტუდენტის საშუალო ქულას, ე.წ. GPA-ს და უცხო ენის მაღალ დონეზე ცოდნას. გარდა ამისა, უცხოურ უნივერსიტეტებში სტუდენტების მიერ არჩეული მიმართულება და საგნები უნდა შეესაბამებოდეს მშობლიურ ფაკულტეტზე მათივე არჩეულ პროგრამას. კანდიდატთა საბუთებს კომისია განიხილავს ინტერვიუს საფუძველზე და ამ ინტერვიუს მსვლელობისას, ყველა სხვა კომპონენტთან ერთად, სტუდენტმა უნდა დაადასტუროს, რომ მისი მობილობა საზღვარგარეთ თანხვედრაშია მის საერთო სასწავლო მიზნებთან, კონკრეტული მიმართულების დაუფლებასთან.

— როდის ცხადდება კონკურსები?

— წლის განმავლობაში მუდმივად ვაცხადებთ კონკურსებს. მიმდინარე სემესტრში, სულ მცირე, 10 სხვადასხვა კონკურსი გამოცხადდება იმისთვის, რომ 2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრში ან მომავალი სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში სტუდენტებმა საზღვარგარეთის პარტნიორ უნივერსიტეტებში ისწავლონ სრული ან ნაწილობრივი დაფინანსებით (რა თქმა უნდა, სამივე საფეხურის სტუდენტებზეა საუბარი).

— სანამ გაცვლითი პროგრამების და „ერაზმუს+"-ის კონკურსებში მიიღებენ სტუდენტები მონაწილეობას, რამდენადაც ვიცით, მანამდე მათ ჩასაბარებელი აქვთ უცხო ენის ტესტირება...

— ის სტუდენტები, რომლებიც არ ფლობენ ენის ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისო სერტიფიკატს (როგორიც არის, მაგალითად, TOEFEL-ის სერტიფიკატი და ა.შ.), გაცვლითი პროგრამების კონკურსებში მონაწილეობის მისაღებად ვალდებულნი არიან გაიარონ ენის ცოდნის ინსტიტუციური ტესტი, რომელსაც თსუ უსასყიდლოდ ატარებს. ეს არის კიდევ ერთი პროცედურა, რაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს სხვა უნივერსიტეტებისგან გამოარჩევს. ჩვენს პარტნიორებთან მრავალწლიანი ურთიერთობის შედეგად მივაღწიეთ იმას, რომ თსუ-ის მიერ ორგანიზებული ენის ინსტიტუციური ტესტის შედეგი ანაცვლებს ენის ცოდნის დამადასტურებელ საერთაშორისო სერტიფიკატებს. ეს ნიშნავს ჩვენდამი გამოცხადებულ ნდობას და გარანტიას იმისას, რომ ჩვენი ტესტირება რეალურ ცოდნას ასახავს. ეს ნდობა ჩვენი პრივილეგიაა, რისი მიღწევაც ადვილი არ არის.

თეა გერგედავა

— მინიმუმ რამდენი უნდა ჰქონდეს სტუდენტს სწავლის საშუალო ქულა (GPA), რათა კონკურსში გამარჯვება შეძლოს?

— ეს დამოკიდებულია მიმღები უნივერსიტეტის მოთხოვნებზე. გარდა ამისა, რაც უფრო მაღალია კონკურსი, ცხადია, უფრო მაღალი GPA-ის მქონე სტუდენტები ღებულობენ სტიპენდიას, რადგან საბოლოო შეფასებისას ვინც ყველაზე მეტ ქულას აგროვებს, ის იღებს სტიპენდიას.

— მსოფლიოში ცნობილ რომელ უნივერსიტეტებში მიემგზავრებიან სასწავლებლად ჩვენი სტუდენტები?

— სია ძალიან გრძელია... რომელი ერთი ჩამოვთვალო — ეს არის შპაიერის ადმინისტრაციულ მეცნიერებათა უნივერსიტეტი (გერმანია), ფრიდრიხ შილერის იენის უნივერსიტეტი (გერმანია), გისენის უნივერსიტეტი (გერმანია), კორუნას, გრანადის და სანტიაგო დე კომპოსტელას უნივერსიტეტები (ესპანეთი), ტარტუს და ტალინის უნივერსიტეტები (ესტონეთი), კა ფოსკარისა და რომის ლა საპიენცას უნივერსიტეტები (იტალია), გრონინგენის უნივერსიტეტი (ნიდერლანდების სამეფო), ლიმერიკის უნივერსიტეტი (ირლანდია), ოსლოს უნივერსიტეტი (ნორვეგია), პორტოს და ლისაბონის უნივერსიტეტები (პორტუგალია), ჰელსინკის და ტურკუს უნივერსიტეტები (ფინეთი), ასევე მსოფლიოში უძველესი ბოლონიის უნივერსიტეტი და ა.შ.

— როცა ერთი სემესტრით სტუდენტი მიდის სასწავლებლად საზღვარგარეთ, დიპლომში თუ აისახება ეს?

— როგორც წესი, ნიშნების ფურცელში იწერება სტუდენტის მიერ საზღვარგარეთ დაგროვებული და შემდგომ თსუ-ში აღიარებული კრედიტების რაოდენობა. გარდა ამისა, CV-შიც უთითებენ სტუდენტები ამ აქტივობას.

— რა დამატებითი პლუსია სტუდენტის სამომავლო კარიერისთვის ერთი სემესტრით საზღვარგარეთ სწავლა?

— ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად არის მისი პოტენციური დამსაქმებელი დაინტერესებული საერთაშორისო გამოცდილების მქონე კადრი აიყვანოს.

— რა გამოცდილებაა სტუდენტისთვის საზღვარგარეთ ერთი სემესტრით სწავლა?

— ეს ძალიან ინდივიდუალურია. ჩვენი სტუდენტების უმრავლესობა მაქსიმალურად იტვირთავს თავს ცოდნის მისაღებად, ისინი იძენენ როგორც პირად მეგობრებს, ასევე ამყარებენ პროფესიულ კონტაქტებს იმ პროფესორებთან, რომლებიც იქ ასწავლიან. ზოგი ეძებს სავარაუდო სამაგისტრო ან სადოქტორო პროგრამებს, სადაც შეუძლიათ მომავალში სწავლა გააგრძელონ და ხშირად აკეთებენ კიდეც ამას.

— ხშირად დასმულ შეკითხვებში რა კითხვა ფიგურირებს, რაც სტუდენტებს ყველაზე მეტად აინტერესებთ?

— შეკითხვები დამოკიდებულია გაცვლითი პროგრამის ტიპზე. ზოგს დაფინანსება აინტერესებს, ყველაზე მეტი შეკითხვა, მაინც, მობილობის აკადემიურ მხარესთან დაკავშირებით შემოგვდის, რაც ეხება საგნების არჩევას და შემდეგ საგნების აღიარების, ანუ დაგროვილი კრედიტების აღიარების პროცედურებში გარკვევას. სააპლიკაციო დოკუმენტების მოსამზადებლადაც ძალიან ხშირად მოგვმართავენ. აქვე დავძენ, რომ თსუ-ის ვებ-გვერდზე განთავსებულია ჩვენი დეპარტამენტის მიერ შემუშავებული ხშირად დასმული კითხვების სპეციალური დოკუმენტი, რომელიც ამომწურავ ინფორმაციას აწვდის ყველა დაინტერესებულ სტუდენტს გაცვლით პროგრამებში მონაწილეობასთან დაკავშირებით.

— როცა უკან ბრუნდებიან სტუდენტები, გიზიარებენ თუ არა თავიანთ შთაბეჭდილებებს?

— დიახ, ჩვენ შევიმუშავეთ სპეციალური კითხვარი, რომელსაც მობილობის დასრულების შემდეგ ვუგზავნით გაცვლით პროგრამებში მონაწილე სტუდენტებს. ზოგიერთი მათგანი შთაბეჭდილებებს წერილების ფორმითაც გვიზიარებს, რომლებსაც დეპარტამენტის ფეისბუქ-გვერდზე ვაქვეყნებთ. ძალიან ემოციური ტექსტებია...

ნინო კაკულია

სანდრო გიგაური,
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის საფეხურის სტუდენტი:

„Erasmus+"-ის პროგრამაში მონაწილეობა სკოლის ასაკშივე მტკიცედ მქონდა გადაწყვეტილი და ვცდილობდი, ემოციურად მოვმზადებულიყავი ამ გამოწვევისთვის. საკონკურსო ეტაპი საკმაოდ რთული აღმოჩნდა, თუმცა შევძელი ზალცბურგის უნივერსიტეტში 1 წლიანი სტიპენდია მომეპოვებინა.

განათლების სრულიად განსხვავებულ სისტემასთან მორგების გარდა, ვისწავლე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება და ბიუჯეტის სწორი გადანაწილება. ყველაფერი ამის გარდა, პროგრამამ მაჩუქა ბევრი ახალი და შეუცვლელი მეგობარი, მომცა საშუალება — მემოგზაურა და გავცნობოდი ევროპულ კულტურასა და ღირებულებებს".

თამარ მეჭურჭლიშვილი,
თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტი:

„2016 წელს მაგისტრატურის პირველ კურსზე მონაწილეობა მივიღე „Erasmus+"-ის გაცვლით პროგრამაში, გავედი შესარჩევ კონკურში და ერთი სემესტრი (6 თვე) გავატარე პორტოში. ეს გამოცდილება ჩემთვის უნიკალური იყო მრავალი მიზეზის გამო. გავხდი გაცილებით დამოუკიდებელი და თავდაჯერებული. შევიძინე ბევრი მეგობარი სხვადასხვა ქვეყნიდან და კონტინენტიდან, რამაც გამიფართოვა თვალსაწიერი. სწორედ იქ მიღებული გამოცდილების წყალობით, დაბრუნებიდან მალევე დავიწყე მუშაობა ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა დეპარტამენტში. დღემდე ვამბობ ხოლმე, რომ ჩემთვის ყველაზე ბედნიერი დრო უკავშირდება პორტოსა და ერაზმუსელად ყოფნას".

საქართველოში ყველაზე მაღალრეიტინგული პირველკურსელი თსუ-ელი გახდა

ნატო ობოლაძე

ეროვნული გამოცდების შედეგების მიხედვით, საქართველოში ყველაზე მაღალრეიტინგული პირველკურსელი დემურ მერკვილაძე თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პირველკურსელია. დემურ მერკვილაძემ სპეციალობად გეოლოგიის მიმართულება აირჩია, თუმცა მისი ინტერესების სფერო გაცილებით ფართო და მრავალფეროვანია... ამიტომ პროფესიის არჩევისას მან რამდენიმე კრიტერიუმით იხელმძღვანელა: გაითვალისწინა ბავშვობისდროინდელი ინტერესები, ასევე, საზოგადოებისთვის აქტუალური საკითხები და ბუნებასთან სიახლოვის სიყვარული.

„ბავშვობაში დინოზავრების შესახებ ისტორიები მაინტერესებდა და, შესაბამისად, პალეონტოლოგობას ვაპირებდი. შემდეგ მინერალოგიამ დამაინტერესა — სადაც უნდა წავსულიყავი, ყველა ადგილიდან, ჩემი გაგებით, „ძვირფასი“ ქვები

მომქონდა. ვფიქრობ, რომ პროფესიიდან გამომდინარე ხშირად მოგზაურობა და ბუნებასთან ახლო ურთიერთობა მომიწევს, რაც ჩემთვის მეტად მიმზიდველი და საინტერესოა,“ — გვითხრა დემურ მერკვილაძემ.

მისი გატაცება ლიტერატურა, კინემატოგრაფია და სპორტია. მწერლებიდან ყველაზე მეტად ფიოდორ დოსტოევსკის შემოქმედება მოსწონს. „ძმები კარამაზოვები“ ის ნაწარმოებია, რომელმაც ყველაზე მეტად დააინტერესა.

„ზოგადად მომწონს ამ მწერლის სტილი და ჩამთრევი სიუჟეტი, საინტერესო ფსიქოლოგიური პორტრეტები. ამ რომანშიც კარგად იკვეთება ადამიანთა განსხვავებული ტიპების სურვილები და მისწრაფებები. სხვათა შორის, ჩემი ერთ-ერთი მთავარი ინტერესის სფერო ფსიქოლოგიაა. ბუნებრივად მიმაჩნია ადამიანის დაინტერესება საკუთარი და სხვათა პიროვნებებით და იმის გაგება, თუ რა გვიბიძგებს ამა თუ იმ საქციელისკენ. ვფიქრობ, რომ ეს თვითშემეცნების მთავარი გზაა“, — აღნიშნა დემურ მერკვილაძემ.

მოსწონს ფილმები, რომლის სიუჟეტიც გეოლოგიის თემატიკას ეხება. მიაჩნია, რომ ლიტერატურული ნაწარმოებების მიხედვით გადაღებული ფილმები არ შეიძლება წიგნს შეადარო და უმჯობესია მათი დამოუკიდებელ ნამუშევრად განხილვა.

მისდევს სპორტსაც. სწავლობდა კარატის საბრძოლო ხელოვნებას. უყვარს ცურვა და გარკვეული პერიოდის განმავლობაში წყალბურთსაც თამაშობდა. იზიდავს ლაშქრობებზე სიარული, რამაც მისი პროფესიის არჩევაზეც დიდი გავლენა მოახდინა. ამბობს, რომ ბუნება მამამ შეაყვარა და ერთად საქართველოს არაერთი კუთხე აქვთ შემოვლილი.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩაბარებით დემურ მერკვილაძემ ოჯახური ტრადიცია გააგრძელა. მამამისი, თსუ-ის აკადემიური საბჭოს წვერი დავით მერკვილაძე, ასევე თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კურსდამთავრებულია.

„ვფიქრობ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი გეოლოგიის შესასწავლად საუკეთესო უნივერსიტეტია საქართველოში. თსუ-ს, როგორც ქვეყნის უძველესი უნივერსიტეტის შესახებ, მისგან ბევრი რამ მსმენია. გაცვლითი პროგრამები და საერთაშორისო კავშირებიც დიდი უპირატესობაა. ჩემს მშობლებსაც თსუ აქვთ დამთავრებული და ჩემი არჩევანი ოჯახურ ტრადიციადაც შეიძლება ჩაითვალოს.

არ ვიცი, ახლო მომავალში რამდენად მოვახერხებ, თუმცა ქვეყნისთვის რაიმე მნიშვნელოვანის გაკეთება მინდა. ასევე პროფესიიდან გამომდინარე, მდგრადი განვითარების სისტემის დახვეწას ვგეგმავ, რადგან დღევანდელი კაცობრიობისთვის აუცილებელია ჯანსაღი და ეფექტური გზების გამონახვა, რომლებიც ადამიანსაც დაეხმარება და ბუნებასაც არ დააზიანებს“, — გვითხრა დემურ მერკვილაძემ.

დემურ მერკვილაძე

საქართველოში ყველაზე მაღალრეიტინგული პირველკურსელი თბილისელია. დაამთავრა რობერ შუმანის სახელობის ევროპული სასწავლებელი (ყოფილი 57-ე სკოლა). რეპეტიტორებთან მომზადება ბოლო წელს დაიწყო. ფიქრობს, რომ ეროვნული გამოცდების ჩაბარება საჯარო სკოლაში მიღებული ცოდნითაც თავისუფლად შეიძლება, თუმცა რეპეტიტორების დახმარებით უფრო მაღალი შედეგის მიღებაა შესაძლებელი.

თსუ-მ უპირობო ავტორიზაცია მიიღო

მაია ტორაძე

2018 *წლის 27 აგვისტოს სსიპ — ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის საბჭომ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს უპირობო ავტორიზაცია მიანიჭა.*

რა პროცესები გაიარა უნივერსიტეტმა და რა რეკომენდაციები გასცა ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ავტორიზაციის საბჭომ ? — ამის თაობაზე გვესაუბრება თსუ-ის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი ირმა გრძელიძე*:*

— ქალბატონო ირმა, იმ ფონზე, როცა საქართველოს უმაღლესი განათლების სისტემაში ძალზე პრინციპულად და კრიტერიუმების მკაცრი დაცვით მიმდინარეობს ავტორიზაციის პროცესი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა, უცხოელ ექსპერტთა რეკომენდაციით, უპირობო ავტორიზაცია მიიღო, რაც ნამდვილად სასიხარულო ამბავია. რა სიახლეები იყო ავტორიზაციის მოთხოვნებში და რისი დაკმაყოფილება დასჭირდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს?

— პირველ რიგში, მინდა მივულოცო საუნივერსიტეტო საზოგადოებას ეს წარმატება და აქვე მადლობა გადავუხადო ყველა უნივერსიტეტელს, ჩვენს აკადემიურ და სამეცნიერო პერსონალს, სტუდენტებს, დამსაქმებლებსა და კურსდამთავრებულებს, ადმინისტრაციის უკლებლივ ყველა წარმომადგენელს, რომელთა წვლილი ამ წარმატებაში უმნიშვნელოვანესი იყო.

რაც შეეხება ავტორიზაციის სიახლეებს: 2018 წლიდან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაცია განახლებული სტანდარტებისა და პროცედურების მიხედვით მიმდინარეობს. ავტორიზაცია ნიშნავს საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მოპოვებას 6 წლის ვადით. დღეისათვის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები, მანამდე არსებული 3 სტანდარტის ნაცვლად, 7 სტანდარტის მიხედვით ფასდებიან. ესენია: უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მისია და სტრატეგიული განვითარება; ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა; საგანმანათლებლო პროგრამები; პერსონალი; სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები; კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა; მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები.

უნდა აღინიშნოს, რომ შეიცვალა არა მარტო ავტორიზაციის სტანდარტები, არამედ თავად პროცედურებიც. 2017 წლის 5 მაისიდან ავტორიზაციის სტანდარტები და პროცედურები შესაბამისობაში მოვიდა უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებთან და სახელმძღვანელო პრინციპებთან. განახლებული 7 სტანდარტი კომპონენტებად არის ჩაშლილი და მათი უმეტესობა მიმართულია დაწესებულებაში საჭირო და ეფექტიანი მექანიზმების, პროცესებისა და რეგულაციების შეფასებაზე.

განახლებული პროცედურა, ასევე, ითვალისწინებს ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში უცხოელი ექსპერტების, სტუდენტებისა და დასაქმების ბაზრის ექსპერტების ჩართვას. იმ შემთხვევაში, თუ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის საავტორიზაციო განაცხადში მითითებულია რეგულირებადი სამედიცინო აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამა, ექსპერტთა ჯგუფში თანათავმჯდომარის სტატუსით შედის შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე საერთაშორისო ექსპერტი.

თსუ-ის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს ხელმძღვანელობდა საიბოლტ ნურდა, რომელიც არის მაგნა ჩარტა ობსერვატორიის (ბოლონია) და აკადემიური თანამშრომლობის ასოციაციის (ბრიუსელი) პრეზიდენტი. იგი ასევე არის ჰოლანდიის კვლევითი უნივერსიტეტების ასოციაციის ყოფილი პრეზიდენტი და ამსტერდამის უნივერსიტეტის პრეზიდენტ-ემერიტუსი, სადაც ის 1999-2006 წლებში იკავებდა პრეზიდენტის პოზიციას. რაც შეეხება მეორე უცხოელ ექსპერტს — ჯოსეტ დენეკენსს, რომელიც ექსპერტთა პანელის თანათავმჯდომარე და მედიცინის მიმართულების ექსპერტი იყო, გახლავთ ბელგიის მედიცინის სამეფო აკადემიის წევრი და ჯანდაცვის, განათლებისა და გარემოს დაცვის მინისტრების მრჩეველი, მდგრადი განათლების საბჭოს პრეზიდენტი, ასტრა ზენეკის სამეცნიერო საბჭოს წევრი, ასევე ანტვერპენის რეგიონის GZA-ZNA საავადმყოფოების საბჭოს წევრი. ექსპერტთა ჯგუფში შედიოდნენ ქართველი ექსპერტები: ელენე ჯიბლაძე, თორნიკე გურული, ქეთევან კანკავა, ქეთევან კოტეტიშვილი, მაია შიშნიაშვილი, ია ფანცულაია და ეკა ლეფსვერიძე.

— რა მოთხოვნები დააკმაყოფილა თსუ-მ ავტორიზაციისთვის, რამდენი ხნით ვფლობთ ავტორიზაციას?

— ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა დააკმაყოფილა უკლებლივ ყველა სტანდარტი და ავტორიზაცია მოიპოვა კანონის შესაბამისი ვადით — 6 წლით.

— რა სამუშაოები შესრულდა თსუ-ში ავტორიზაციის მისაღებად?

— ავტორიზაციისათვის მზადება თითქმის ერთი წელი მიმდინარეობდა. ამ დროის განმავლობაში გადამუშავდა არაერთი ნორმატიული აქტი, შემუშავდა ახალი ინიციატივები, რომლებშიც აქტიურად იყო ჩართული სრულიად საუნივერსიტეტო საზოგადოება. გადამუშავდა უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული განვითარების გეგმა, შეიქმნა საუნივერსიტეტო სადისერტაციო საბჭო, დადგინდა აფილირების ვალდებულება, პროგრამების განვითარების მიზნით შეიქმნა დარგობრივი კომიტეტები, განახლდა პერსონალის სამუშაო აღწერილობები, გარემონტდა და ახალი ტექნიკით აღიჭურვა სივრცეები, შეფასდა ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, გათვალისწინებულ იქნა გარე აუდიტორთა რეკომენდაციები და სხვ.

რაც შეეხება უნივერსიტეტის ფუნდამენტურ საქმიანობას — კვლევასა და სწავლებას — ეს უნივერსიტეტის ყოველდღიურ საქმიანობას წარმოადგენს და მას ავტორიზაციის მიღების მიზნით კი არა, ჩვენი საუკუნოვანი მისიიდან გამომდინარე ვასრულებთ. ავტორიზაციისათვის მზადების პროცესმა კიდევ ერთხელ გამოკვეთა ჩვენი უნივერსიტეტის გამორჩეულად ძლიერი მხარე — აკადემიური და სამეცნიერო რესურსი, რომელიც თსუ-ის ფასდაუდებელი საგანძურია.

— დაფიქსირდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტების მიერ კონკრეტული ხარვეზები? რა რეკომენდაციები გაიცა და რა უნდა გავაკეთოთ ამ ხარვეზების აღმოსაფხვრელად?

— ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში წარმოდგენილი იყო რეკომენდაციები და რჩევები სტანდარტების მიხედვით. აღსანიშნავია, რომ ავტორიზაციის ექსპერტების რეკომენდაციების შესაბამისი საკითხები, როგორც გასაუმჯობესებელი მხარეები, დეკლარირებული იყო უნივერსიტეტის

ირმა გრძელიძე

ვრცელ თვითშეფასების ანგარიშშიც. ამით იმის თქმა მსურს, რომ უნივერსიტეტი თავადაც კარგად ხედავს გასაუმჯობესებელ მხარეებს.

უნივერსიტეტის ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევა ინსტიტუციის ფინანსური რესურსია და ექსპერტთა პანელის რეკომენდაციების უმეტესობა ამ საკითხს ეხება. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, რომელიც საქართველოს მასშტაბით ყველაზე დიდი და მრავალდარგობრივი უნივერსიტეტია, ჰყავს ყველაზე მეტი სტუდენტი, აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი, სჭირდება უფრო მეტ ფინანსურ მხარდაჭერა და რესურსი, ვიდრე ეს მას ახლა გააჩნია.

რეკომენდაციები, ასევე, შეეხებოდა უნივერსიტეტის სტრუქტურას, საკადრო და სახელფასო პოლიტიკას, საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის მუდმივ გაუმჯობესებას, კვლევის შეფასებისა და განვითარების მუდმივ ხელშეწყობას.

მიუხედავად შეზღუდული რესურსებისა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთადერთი ქართული უნივერსიტეტია, რომელიც წარმოდგენილია მსოფლიო საერთაშორისო რანჟირების სისტემებში, რაც ინსტიტუციის ყოველმხრივი აქტიური მუშაობის შედეგია.

რეკომენდაციების დიდი ნაწილის შესაბამისი აქტივობები გაწერილია სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური თსუ-ის აკადემიური პერსონალის წარმომადგენლების მიერ შექმნილ ჯგუფთან ერთად ამზადებს სამუშაო გეგმის პროექტს, რომელიც ფაკულტეტებთან, სამეცნიერო ინსტიტუტებთან, ადმინისტრაციულ ერთეულებთან, აკადემიურ და წარმომადგენლობით საბჭოებთან კონსულტაციების შესაბამისად სამოქმედო გეგმად ჩამოყალიბდება.

რა სერვისებს გვთავაზობს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა?

რა უნდა ვიცოდეთ

ზურაბ გაიპარაშვილი,
თსუ-ის ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი:

— სასურველია, ჩვენმა პირველკურსელებმა იცოდნენ, რომ ისინი მოვიდნენ უნივერსიტეტში, რომელსაც აქვს კავკასიასა და საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე უმდიდრესი წიგნადი ფონდი.

ჩვენი საბიბლიოთეკო ფონდი გამუდმებით იზრდება. ყოველწლიურად, დაახლოებით, 200 ათასზე მეტი ღირებულების წიგნს ვყიდულობთ, ჩვენი წიგნის თაროები ახალი სამეცნიერო-საგანმანათლებლო და მხატვრული ლიტერატურითაც მდიდრდება.

სასურველი ლიტერატურის ძიების გასამარტივებლად შექმნილია საბიბლიოთეკო დოკუმენტების ელექტრონული კატალოგი. ელექტრონული წიგნებისა და ჟურნალ-გაზეთების გარდა, მკითხველს შეუძლია ისარგებლოს ლექსიკონების, დისერტაციებისა და აუდიოწიგნების ელექტრონული ფორმატით.

გარდა წიგნადი ფონდისა, ჩვენ გვაქვს, ასევე, მდიდარი ელექტრონული ბაზები, რომელიც იმის საშუალებას იძლევა, რომ ოპერატიულად მიგვიწვდებოდეს ხელი მეცნიერებაში მიმდინარე უახლეს პროცესებზე. თითოეულ მონაცემთა ბაზას თან ახლავს მოხმარების წესები, საძიებო ინსტრუმენტების ათვისებისა და პრაქტიკაში გამოყენების ინსტრუქცია.

- ყველა ამ სიკეთით სარგებლობისთვის პირველკურსელებს ვურჩევ, რომ მათ აიღონ უნივერსიტეტის ელექტრონული ფოსტის პირადი მისამართი, რომელსაც საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტში მისცემენ. მხოლოდ ამ მისამართის ფლობის შემთხვევაში შეეძლებათ სტუდენტებს სამეცნიერო ელექტრონულ ბაზებსა და დიგიტალიზებულ ლიტერატურას გაეცნონ.
- პირველკურსელებს ასევე ვურჩევ, რომ სწავლის დაწყებიდან მალევე მიაკითხონ უნივერსიტეტის ბიბლიოთეკის ცენტრალურ შენობას (მაღლივი კორპუსის მიმდებარე ტერიტორია, უნივერსიტეტის ქუჩა №11) და მივიდნენ აბონემენტის განყოფილებაში, სადაც გაუხსნიან აბონემენტს და მისცემენ ინდივიდუალურ ბარათს. სარეგისტრაციოდ მკითხველმა უნდა წარმოადგინოს სტუდბილეთი ან პირადობის მოწმობა და ფოტოსურათი. მხოლოდ ამის შემდგომ შეეძლებათ მათ სასურველი, საჭირო ლიტერატურის სახლში წაღება, თუკი ისინი უნივერსიტეტის ყველა კორპუსში განთავსებულ ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზებში (ე.წ. ფაკულტეტების ბიბლიოთეკებში) არ მოინდომებენ წიგნზე მუშაობას.
- თუ სტუდენტი სამკითხველო დარბაზში მუშაობს, მკითხველს ბიბლიოთეკაშივე შეეძლება საჭირო მასალის ასლის დამზადება და დასკანერება.
- ჩვენი საბიბლიოთეკო ფონდები სრულ შესაბამისობაშია აკადემიური პერსონალის სილაბუსებში მითითებულ ლიტერატურასთან. აქედან გამომდინარე, ჩვენს სტუდენტებს შეუძლიათ ჩვენს ბიბლიოთეკაში ნახონ ყველა წიგნი, ყველა მასალა, რომელსაც მას ლექტორი უთითებს. თუკი ჩვენს საცავებში არ აღმოჩნდება ესა თუ ის წიგნი, ჩვენ დროებითი სარგებლობისთვის შეგვიძლია მათთვის სხვა უნივერსიტეტების ბიბლიოთეკებიდან ან საჯარო ბიბლიოთეკიდანაც გამოვითხოვოთ საჭირო ლიტერატურა.
- მკითხველს, ასევე, ვურჩევ — დაკვირვებით გაეცნოს ბიბლიოთეკის ვებ-გვერდს, სადაც ფუნქციონირებს ძალიან საინტერესო ველი — „თქვენი რჩევა“, რომლის საშუალებითაც სტუდენტს თუ აკადემიურ პერსონალს შეუძლია მოგვწეროს და გვირჩიოს ამა თუ იმ ლიტერატურის შეძენა (რასაკვირველია, იქვე მითითებული უნდა იყოს დასაბუთება, თუ რატომ მიაჩნია მას საჭიროდ ამა თუ იმ წიგნის ყიდვა). ჩვენ ყველა ამ რჩევას ოპერატიულად განვიხილავთ საბიბლიოთეკო საბჭოზე და შევიძენთ რეკომენდებულ ლიტერატურას.
- გვაქვს ასეთი სერვისიც — „წიგნების შეკვეთაძძ: თუკი ფაკულტეტების ბიბლიოთეკების სამკითხველო დარბაზში მუშაობისას არ აღმოჩნდება მკითხველისთვის სასურველი წიგნი და თუკი ეს წიგნი ჩვენი ბიბლიოთეკის ცენტრალურ საცავშია, მკითხველს შეუძლია საჭირო ლიტერატურა შეგვიკვეთოს და მას მეორე დღესვე ამ მასალას ცენტრალური საცავიდან მიაწვდიან.

ᲪᲜᲝᲑᲘᲡᲗᲕᲘᲡ: პირველი საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა უნივერსიტეტის დაფუძნებასთან ერთად შეიქმნა. მისი ფონდების შევსება დაიწყო კერძო შემოწირულობებით, ხოლო უნივერსიტეტის სახელმწიფო უნივერსიტეტად გარდაქმნის შემდგომ საბიბლიოთეკო ფონდები სახელმწიფოს დახმარებით იზრდებოდა და დღეს ის რამდენიმე მილიონს ითვლის. აქ განთავსებულია რარიტეტები, უძველესი პერიოდული გამოცემები, რომლებითაც მსოფლიოს ნებისმიერი ბიბლიოთეკა იამაყებდა.

II კორპუსის რეაბილიტაციის პირველი ეტაპის სამუშაოები დასასრულს უახლოვდება

ნატო ობოლაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის II კორპუსის რეაბილიტაციის პირველი ეტაპის სამუშაოები დასასრულს უახლოვდება. სარეაბილიტაციო სამუშაოების ფარგლებში მთლიანად იცვლება სველი წერტილები, კანალიზაციის სისტემა, ყველა ფანჯარა, შეკეთდება სახურავი და შენობის გარე ფასადი. II კორპუსში სასწავლო პროცესს ჩვეულ რეჟიმში დაიწყებენ სან დიეგოს უნივერსიტეტის და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტები, რომლებსაც მხოლოდ სასემინარო კურსები ჩაუტარდებათ ე.წ. ბიოლოგების კორპუსში. იურიდიულ ფაკულტეტზე სწავლა 1 ოქტომბრიდან დაიწყება, რადგან ფაკულტეტზე ხორციელდება შიდა და გარე მობილობა, მათ შორის პირდაპირი ჩარიცხვის წესი სსიპ — საქართველო შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიიდან, რისთვისაც აკადემიური რეგისტრაცია სექტემბრის მეორე ნახევარში გაიმართება. სარემონტო სამუშაოების გამო იურიდიული ფაკულტეტი ე.წ. მაღლივი კორპუსის და სხვა დაწესებულების ფართს მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში, სასწავლო პროცესის დაწყებიდან ორი-სამი კვირის განმავლობაში, გამოიყენებს.

„მიმდინარე წლის მაისში გავაფორმეთ ხელშეკრულება კომპანიასთან „დიკა 2010“, რომელმაც გაიმარჯვა თსუ-ის მიერ გამოცხადებულ ტენდერში. სახელშეკრულებო ღირებულებამ 5 192 000 ლარი შეადგინა. ტენდერი გამოცხადებული იყო 5 829 877 ლარზე. პირველი ეტაპი პროექტირებას და პროექტის თბილისის მერიასთან შეთანხმებას მოიცავდა, რადგან თსუ-ის II კორპუსი კულტურული მემკვიდრეობის ძეგლთა ნუსხაშია შესული. უშუალოდ სარეაბილიტაციო სამუშაოები ივლისის შუა რიცხვებიდან დაიწყო. თუმცა, სამუშაო პროცესში სირთულეები გამოიკვეთა. II კორპუსი 1940 წელს აშენდა, მას შემდეგ კაპიტალური რემონტი არ ჩატარებულა და სველი წერტილების განახლებისას სართულშუა გადახურვების გამოცვლაც გახდა საჭირო. ამის გამო სველი წერტილების სამშენებლო სამუშაოები მცირედით გახანგრძლივდა. ზამთრის სეზონისთვის გათბობის სისტემაც ბოლომდე გაიმართება.

ამ ეტაპზე II კორპუსის შიდა კოსმეტიკური სამუშაოები პროექტით გათვალისწინებული არ ყოფილა. თუმცა, მოლოდინი გვაქვს, რომ განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო რეაბილიტაციის მეორე ეტაპსაც დააფინანსებს. ამ სამუშაოების ღირებულება საკმაოდ დიდი იქნება. ვიმედოვნებთ, თანხების გამოყოფა ეტაპობრივად განხორციელდება“, — განაცხადა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილემ ლაშა საღინაძემ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის II კორპუსის სარემონტო სამუშაოებისას დაცულია უსაფრთხოების ნორმები. ასევე, სისუფთავისა და ეკოლოგიის დაცვის მიზნით მიღებულია შესაბამისი ზომები.

თსუ-ის მედიისა და ტელეხელოვნების საზოგადოებრივი კოლეჯის პირველი მიღება

ნატო ობოლაძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების საზოგადოებრივ კოლეჯს, რომელიც ამ სახელწოდებითა და სტატუსით 2018 წლის მარტში დაფუძნდა და საქმიანობას 16 მაისს შეუდგა, 2018 წლის 6 სექტემბერს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შესაბამისი საბჭოს დადგენილებით ავტორიზებული სსიპ კოლეჯის სტატუსი მიენიჭა. ამ გადაწყვეტილებას წინ უძღოდა მოსამზადებელი პერიოდი და ექსპერტთა ხუთკაციანი ჯგუფის ვიზიტი, რომელმაც შეამოწმა და საკუთარი დასკვნით კოლეჯის მზაობა დაადასტურა.

„ავტორიზებული კოლეჯის სტატუსის მინიჭება შესასრულებელ ვალდებულებათა კომპლექსია. ის გულისხმობს კოლეჯის ადმინისტრაციის თანამშრომელთა კვალიფიკაციების შესაბამისობას დაკავებულ თანამდებობებთან, სასწავლო სივრცის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის უზრუნველყოფას, წინასწარი ხელშეკრულებების გაფორმებას შვიდივე პროგრამის ყველა პედაგოგთან, რომლებიც 2018-2019 და 2019-2020 საწავლო წლებში უნდა მოვიწვიოთ.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს კოლეჯის აღჭურვას იმ ტექნიკური საშუალებებით, რომლებიც გაწერილია სასწავლო პროგრამებში და ემსახურება პროფესიულ სტუდენტთა კვალიფიკაცირებას. ამ მიმართულებით სახელმწიფომ გამოგვიყო თანხა, რომ შესაბამისი ტენდერებით სტუდენტებისთვის შეგვეძინა ავეჯი, კომპიუტერული და სატელევიზიო ტექნიკა. ჩვენ ყველა ვალდებულება შევასრულეთ, რათა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შესაბამის საბჭოს ჩვენთვის ავტორიზებული კოლეჯის სტატუსი 6 წლით მოენიჭებინა, რაც გულისხმობს ჩვენ მიერ განაცხადში მოთხოვნილი შვიდივე პროფესიული პროგრამის განხორციელების უფლებას.

ზოგადად, სსიპ კოლეჯებში პროფესიულ პროგრამებზე მიღების წესში ცვლილების შეტანა, ჩემი აზრით, აუცილებელია. როდესაც სახელმწიფო 4 პუნქტიან სამოქმედო გეგმაში პროფესიულ განათლებას პრიორიტეტს ანიჭებს და 100%-ით აფინანსებს მას, ჩარიცხვის უპირატესობას არასწორად შედგენილი სარეგისტრაციო და ტესტირების გრაფიკების გამო, ნებით თუ უნებლიედ, პრიორიტეტს აძლევს უპირატესად იმათ, ვინც ეროვნული გამოცდების შედეგების მიხედვით აკადემიური განათლების ვერც ერთ პროგრამაზე ვერ მოხვდა.

ჩემი აზრით, უნდა დავუბრუნდეთ აბიტურიენტად დარეგისტრირების ძველ წელს, როცა სკოლადამთავრებული რეგისტრაციისთანავე ირჩევდა სკოლის შემდგომი განათლების აკადემიურ ან პროფესიულ სეგმენტს და გამოცდებიც ერთდროულად მიმდინარეობდა. პროფესიულ სეგმენტში წლის მეორე ჩარიცხვა ერთი სემესტრის შემდეგ სწორედ იმათთვის უნდა ცხადდებოდეს, ვინც ვერც ერთ აკადემიურ ან პროფესიულ პროგრამაზე ვერ მოხვდა ან აქვს საბაკალავრო და სამაგისტრო განათლება, მაგრამ სურს ახალი პროფესიის ათვისება.

საჭიროა აგრეთვე პროფესიული განათლების მეტი პოპულარიზაცია. მაშინ, როდესაც ევროპისკენ „ვილტვით“, ჩვენი მენტალობისთვის დღემდე ყოველად მიუღებელი აღმოჩნდა განათლების ის სეგმენტი, რომელიც ევროპელი ახალგაზრდებისთვის ყველაზე პოპულარულია. ამ მიმართულებით მცირე, მაგრამ მაინც სიახლეა ის, რომ პროფესიული განათლების კანონპროექტში ჩაიწერა პუნქტი მისი პოპულარიზაციისთვის სახსრების ხარჯვის შესახებ“, — აღნიშნა ზურაბ ოშხნელმა.

ზურაბ ოშხნელი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიისა და ტელეხელოვნების საზოგადოებრივ კოლეჯში პროგრამებზე რეგისტრაცია დაახლოებით ოქტომბრის პირველ დეკადაში დაიწყება და შვიდივე პროგრამაზე 120 პროფესიულ სტუდენტს მიიღებს. ამ პროგრამებზე სწავლის ყველა მსურველი პროფესიულ ტესტირებამდე გასაუბრებას კოლეჯში გაივლის.

თსუ-ის აბიტურიენტთა მომზადების ცენტრში სწავლა სტუდენტობის გარანტიაა

2018 წლის ერთიანი ეროვნული და საერთო სამაგისტრო გამოცდების შედეგები ცნობილია, რაც წარმატებული გამოდგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უწყვეტი განათლების ცენტრის აბიტურიენტთა მოსამზადებელ განყოფილებაში მომზადებული აბიტურიენტებისთვის.

2017-2018 სასწავლო წელს მოსამზადებელ განყოფილებაში ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის მოსამზადებელ კურსზე 54 აბიტურიენტი ირიცხებოდა, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა დღეს უკვე საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტია. აბიტურიენტებმა მოიპოვებს სახელმწიფო დაფინანსება, როგორც 50-70%-იანი, ასევე 100%-იანი და ჩაირიცხნენ სახელმწიფოს მიერ დაფინანსებულ საგანმანათლებლო პროგრამებზე. მაღალი შედეგების მქონე აბიტურიენტების უმრავლესობამ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტზე გააგრძელა სწავლა.

> 2017-2018 სასწავლო წელს მოსამზადებელ განყოფილებაში ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის მოსამზადებელ კურსზე 54 აბიტურიენტი ირიცხებოდა, რომელთა აბსოლუტური უმრავლესობა დღეს უკვე საქართველოს სხვადასხვა უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამის სტუდენტია.

აბიტურიენტთა წარმატება დიდ წილად დამოკიდებულია მოსამზადებელი კურსის გამოცდილ პედაგოგებზე, რომელთა უმრავლესობა თსუ-ის სხვადასხვა საგანმანათლებლო პროგრამის მოწვეული მასწავლი და პროფესორია.

ეროვნული გამოცდებისთვის მოსამზადებელ კურსზე აბიტურიენტების მიღება 28 სექტემბრამდე გაგრძელდება

2018-2019 სასწავლო წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი კვლავ აცხადებს აბიტურიენტთა მიღებას 2019 წლის ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის მოსამზადებელ კურსზე.

რეგისტრაცია 2018 წლის 29 აგვისტოდან 28 სექტემბრის ჩათვლით მიმდინარეობს თსუ-ის უწყვეტი განათლების ცენტრის შენობაში (თსუ. ი. ჭავჭავაძის №1 თსუ I კორპ. უწყვეტი განათლების ცენტრის შენობა).

აბიტურიენტებს შეუძლიათ მოემზადონ ერთიანი ეროვნული გამოცდით გათვალისწინებულ ყველა საგანში.

მეცადინეობები 1 ოქტომბრიდან იწყება და 2019 წლის 30 ივნისს დასრულდება. ერთი საგნის მოცულობა 140 საათია, რაც კვირაში ორჯერ ორ გაკვეთილს გულისხმობს. გაკვეთილები მცირე ჯგუფებში (5-6 აბიტურიენტი) უნივერსიტეტის პირველ კორპუსში უწყვეტი განათლების ცენტრში მიმდინარეობს. სისტემატურად ხდება აბიტურიენტთა ცოდნის შემოწმება და შედეგების მშობლებისთვის გაცნობა. მომზადება მიმდინარეობს ერთიანი ეროვნული პროგრამის შესაბამისად.

აბიტურიენტთა რეგისტრაციისთვის საჭირო დოკუმენტებია:

- აბიტურიენტის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
- აბიტურიენტის მშობლის/მეურვის პირადობის დამადასტურებელი ასლი (იმ შემთხვევაში, თუ აბიტურიენტი რეგისტრაციის მომენტში არ არის სრულწლოვანი);
- დაბადების მოწმობის ასლი (იმ შემთხვევაში, თუ აბიტურიენტი რეგისტრაციის მომენტში არასრულწლოვანია, განცხადებას ავსებს მშობელი);
- მეურვეობის დამადასტურებელი დოკუმენტი (იმ შემთხვევაში, თუ აბიტურიენტი არასრულწლოვანია განცხადებას ავსებს მეურვე);
- განცხადება ადმინისტრაციის ხელმძღვანელის სახელზე (ივსება ადგილზე. ილ. ჭავჭავაძის 1. თსუ პირველი კორპუსი, უწყვეტი განათლების ცენტრი);
- თსუ-ში მუშაობის დამადასტურებელი ცნობა და აბიტურიენტის დაბადების მოწმობის ასლი. (თსუ-ის თანამშრომლის შვილებისთვის).

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით:
facebook.com/თსუ აბიტურიენტთა მომზადება/ TSU training courses for Entrants;

☎: 555-65-41-40
ან მობრძანდით ი. ჭავჭავაძის 1, თსუ I კორპ. უწყვეტი განათლების ცენტრის შენობა

ᲐᲜᲒᲔᲚᲐ ᲛᲔᲠᲙᲔᲚᲘᲡ ᲛᲙᲐᲤᲘᲝ ᲒᲖᲐᲕᲜᲘᲚᲔᲑᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ

24 ᲐᲒᲕᲘᲡᲢᲝᲡ ᲘᲕᲐᲜᲔ ᲯᲐᲕᲐᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ �თᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲡ ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲘᲡ ᲙᲐᲜᲪᲚᲔᲠᲘ ᲐᲜᲒᲔᲚᲐ ᲛᲔᲠᲙᲔᲚᲘ ᲡᲢᲣᲛᲠᲝᲑᲓᲐ. ᲕᲘᲖᲘᲢᲘᲡ ᲤᲐᲠᲒᲚᲔᲑᲨᲘ ᲘᲒᲘ ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲔᲑᲡ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲗ ᲙᲘᲗᲮᲕᲔᲑᲡ Უ�პᲐᲡᲣᲮᲐ.

ᲐᲜᲒᲔᲚᲐ ᲛᲔᲠᲙᲔᲚᲘ: „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲢᲔᲠᲘᲢᲝᲠᲘᲘᲡ 20 ᲞᲠᲝᲪᲔᲜᲢᲘ ᲝᲙᲣ�პᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ, ᲠᲐᲪ ᲓᲘᲓᲘ ᲣᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲝᲑᲐᲐ. ᲐᲤᲮᲐᲖᲔᲗᲘ ᲓᲐ ᲡᲐᲛᲮᲠᲔᲗ ᲝᲡᲔᲗᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲒᲐᲜᲣᲧᲝᲤᲔᲚᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ“.

ანგელა მერკელმა ისაუბრა გერმანიის საგარეო პოლიტიკაზე, მათ შორის, რუსეთთან და პოსტსაბჭოთა ქვეყნებთან ურთიერთობაზე, რუსეთის მიერ ოკუპირებული ტერიტორიების მიმართ გერმანიის დამოკიდებულებებზე, ევროკავშირის გეგმებსა და საქართველოს ევროპულ მომავალზე.

სტუდენტები დაინტერესდნენ, რა პოლიტიკას ატარებს გერმანია აღმოსავლეთ ევროპისადმი და რა ცვლილებებს უნდა ელოდოს მსოფლიო ამ მიმართულებით, რაზეც გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰაიკო მაასმა თავის გამოსვლაშიც ისაუბრა. კითხვაზე ანგელა მერკელმა უპასუხა, რომ ეს არ არის გერმანიის საგარეო პოლიტიკის ახალი ორიენტაცია და ჰაიკო მაასმა ხაზი გაუსვა მხოლოდ იმას, რომ ძალიან მნიშვნელოვანია რუსეთთან კარგი ურთიერთობის დამყარება, რადგან ის არის ევროკავშირის მეზობელი, თუმცა, მეორე მხრივ, გერმანია აცნობიერებს იმასაც, რომ უნდა გამოიკვეთოს მკაფიო პოლიტიკა აღმოსავლეთ ევროპის მიმართულებით.

„საქართველო დანამდვილებით არის ქვეყანა, რომელსაც უკრაინასთან ერთად აქვს ყველაზე დიდი ევროპული პერსპექტივა. ამ მიმართულებით ჩვენ უკვე გვაქვს ვიზალიბერალიზაცია, არსებობს ასოცირების ხელშეკრულება, თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება და უახლოესი 10 წლის განმავლობაში კიდევ გამოვკვეთავთ იმ ნაბიჯებს, რაც სამომავლოდ უნდა გადაიდგას“, — აღნიშნა მერკელმა და იქვე დაამატა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ადამიანთა შორის ურთიერთობები, უმაღლესი განათლების მიღება, პროფესიული განათლების მიღება, პროფესიული საქმიანობა, დასაქმება და ამისთვის ლეგალური გზების გამოძებნა. „ვიზალიბერალიზაციის ამოქმედების შემდეგ ბევრი ჩამოვიდა საქართველოდან, როგორც თავშესაფრის მაძიებელი. ბუნებრივია, ეს არ არის ჩვენი მიზანი. ჩვენ უნდა ვნახოთ ლეგალური გზები, რათა გაღრმავდეს ჩვენი ურთიერთობები. გახსნილად უნდა ვთქვათ, რომ ძალიან რთულია რუსეთთან ურთიერთობების დალაგება, ვხედავთ, რაც ხდება აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონების მიმართ, მაგრამ გერმანიის საგარეო პოლიტიკა კვლავინდებურად იქნება პერსპექტივაზე ორიენტირებული, რომ თქვენ ძალიან ახლოს იყოთ ევროპასთან. ეს არის ჩვენი ურყევი მიზანი , — განაცხადა კანცლერმა და დასძინა, რომ ყველამ ერთად უნდა ვიბრძოლოთ საერთო ევროპული იდეისათვის მხოლოდ მშვიდობიანი თანაცხოვრებითა და ურთიერთპატივისცემით.

ანგელა მერკელმა გამოკვეთა საქართველოს, აზერბაიჯანისა და მოლდავეთის ტერიტორიული კონფლიქტები და ხაზგასმით აღნიშნა, რომ მხარს უჭერს იმ ქვეყნების ტერიტორიულ მთლიანობას, რომლებსაც ეს პრობლემა აქვთ. მან მოკლედ ისაუბრა ასევე რუსეთთან ენერგომიმართულებით თანამშრომლობაზე.

შეხვედრაზე თსუ-ის სტუდენტებმა გერმანიის კანცლერს კითხვები დაუსვეს ვიზალიბერალიზაციაზე, ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებაზე, ევროკავშირის მომავალზე, მეცნიერებისა და პროფესიული განათლების ხელშეწყობაზე, საქართველოსა და კავკასიის რეგიონში დემოკრატიის ხარისხზე და სხვა საკითხებზე.

ევროატლანტიკურ სტრუქტურებში საქართველოს ინტეგრაციასთან დაკავშირებით გერმანიის კანცლერმა აღნიშნა, რომ საქართველო სწორ გზაზე დგას და უკრაინასთან ერთად ევროკავშირში გაწევრიანების ყველაზე დიდი პერსპექტივა აქვს. „ღიად ვაცხადებ, რომ მხარს ვუჭერ საქართველოს ევროპულ ამბიციებს. ჩვენი ურყევი მიზანია, ახლოს იყოთ ევროპასთან, მაგრამ სწრაფ, ნაჩქარევ დაპირებებს ვერ მოგცემთ. წევრობის კანდიდატი ქვეყანა უნდა ასრულებდეს გარკვეულ წინაპირობებს. თავის მხრივ, ევროკავშირს უნდა შესწევდეს ახალი ქვეყნების მიღების უნარი“, — განაცხადა ანგელა მერკელმა და დასძინა, რომ ევროკავშირსაც სჭირდება რეფორმები.

სტუდენტის კითხვაზე როგორ შეაფასებდა გერმანიის კანცლერი ცხინვალისა და აფხაზეთის რეგიონებში მიმდინარე პროცესებს, ანგელა მერკელმა უპასუხა, რომ

„ეს არის უსამართლობა და გერმანიას შეუძლია დაეხმაროს საქართველოს იმ ჰუმანიტარული პრობლემების მოგვარებაში, რომელიც ამ რეგიონებიდან ლტოლვილ მოსახლეობას აქვს. „იქ რაც ხდება, არის მიუღებელი სიტუაცია. მე ბევრ დროს ვუთმობ უკრაინასა და საქართველოში არსებული კონფლიქტების მოგვარებაზე ფიქრს. ეს არის სიტუაცია, რომელიც რუსეთის ხელშეწყობით ცუდად ვითარდება. გამოცდილება გვიჩვენებს, რომ არ უნდა შევეგუოთ ამას, მიუხედავად იმისა, რომ ეს არის გრძელვადიანი პროცესი. ამ რეგიონებში ადამიანებს ძალიან ცუდად აქვს საქმე. ჩვენ უნდა დავეხმაროთ მათ, პირველ რიგში, ჰუმანიტარულად, სადაც ამის შესაძლებლობაა. გვაქვს ევროკავშირის მისია, რომელიც ცდილობს თავისი წვლილი შეიტანოს პრობლემის მოგვარებაში და როდესაც ადამიანს სჭირდება სამედიცინო დახმარება, განათლება და ა.შ., მას აუცილებელია ჰქონდეს შესაძლებლობა — გადმოლახოს ე.წ. საზღვარი“, — განაცხადა მან.

მერკელის პასუხს მოჰყვა თსუ-ის დოქტორანტ კონსტანტინე შუბითიძის კითხვა: „აფასებთ თუ არა აფხაზეთში და ცხინვალში განვითარებულ მოვლენებს, როგორც ოკუპაციას?“ ამ კითხვის პასუხადაც მერკელმა საქართველოში ვიზიტის განმავლობაში პირველად დააფიქსირა, რომ „ეს არის ოკუპაცია. საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტი ოკუპირებულია, რაც დიდი უსამართლობაა. აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი არის საქართველოს განუყოფელი ნაწილი“.

კანცლერის პასუხზე კომენტარი გაკეთა შეკითხვის ავტორმა: „ტერმინ „ოკუპაციის“ გამოყენება ჩემთვის, როგორც საქართველოს მოქალაქისთვის, ძალიან მნიშვნელოვანია, ვინაიდან ეს არის ერთადერთი სწორი შეფასება, რომელიც შეიძლება მიეცეს აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში არსებულ მდგომარეობას. კანცლერმა რუსეთის ქმედება შეაფასა ოკუპაციად და მე კმაყოფილი ვარ. ჩემი აზრით, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ისეთი დიდი და ძლიერი ქვეყნის ლიდერი, როგორიც გერმანიაა, სწორ და ზუსტ შეფასებას აძლევდეს იმ ყველაფერს, რაც ხდება საქართველოში“, — განაცხადა თსუ-ის საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების დოქტორანტმა კონსტანტინე შუბითიძემ.

სტუდენტებთან შეხვედრაზე კითხვა დაისვა, ასევე, საქართველოს ნატოში გაწევრიანების პერსპექტივაზე, რაზეც მერკელმა უპასუხა, რომ ეს მოკლე ვადებში არ მოხდება: „საქართველოს ნატოში სწრაფ გაწევრიანებას ვერ ვხედავ — ასეთია გერმანიის პოზიცია, მაგრამ, ამის მიუხედავად, ნატოს ბოლო სამიტზე დამტკიცდა ნატო-საქართველოს პაკეტი. დღეს შევხვდები გერმანელ ჯარისკაცებს, რომლებიც წვრთნებში იღებენ მონაწილეობას ქართულ შეიარაღებულ ჯარებთან ერთად. გერმანია და საქართველო ერთობლივად მოქმედებენ ავღანეთში. საქართველო იღებს მონაწილეობას ნატოს გარკვეულ მისიებში და ევროკავშირისა და ნატოს მიმართულებით ნელ-ნელა ყველაფერი ახლოვდება. ეს არის ჩემი ხედვა და პასუხი ამ კონკრეტულ კითხვაზე“, — განაცხადა მან.

რაც შეეხება საქართველოს მთავარ გამოწვევებს, გერმანიის კანცლერის აზრით, ესაა უსაფრთხოება და კეთილდღეობის შექმნა. „თქვენთვის გამოწვევა არის ის ფაქტი, რომ არსებობს ოკუპირებული ტერიტორიები და ეს ყველაფერი ძალიან დიდ ძალისხმევას ითხოვს. ასევე უდიდესი მნიშვნელობა აქვს კეთილდღეობის შექმნას — შეიძლება თბილისში ადამიანები უკეთ ცხოვრობენ, მაგრამ რეგიონებშიც უნდა მიდიოდეს განვითარების პროცესები. გუშინ პრემიერმინისტრთან საკმაოდ დიდხანს ვისაუბრე ინკლუზიურ ზრდაზე. ძალიან მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა — ახალგაზრდა ადამიანს უნდა ჰქონდეს საწარმოს ჩამოყალიბების, საკუთარი სექტორის შექმნისა და იაფი კრედიტის მიღების შესაძლებლობა, რათა ორიენტაცია იქნას აღებული განვითარებაზე. მცირე და საშუალო კომპანიების რაოდენობა უნდა გაიზარდოს. თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ევროკავშირთან საქართველოსთვის არის უდიდესი გამოწვევა, შესაძლებლობა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა ევროპულ ბაზარზე. ვისაც უნდა, რომ დამოუკიდებელი და თვითმყოფადი იყოს, მან უნდა ეს შესაძლებლობები სამართლებრივად და ეკონომიკურად გამოიყენოს“, — აღნიშნა ანგელა მერკელმა.

თსუ-ის სტუდენტებთან შეხვედრაზე გერმანიის კანცლერმა მკაფიო განცხადება გააკეთა რუსულ ბუნებრივ აირზე, გერმანიის და, საერთოდ, ევროპის დამოკიდებულებაზე, „ჩრდილოეთი ნაკადი-2“-ის პერსპექტივაზე. „პუტინს აქვს ინტერესი, რომ გაყიდოს ბუნებრივი აირი ევროპაში. მაშინ მან კეთილი ინებოს და პოლიტიკის მინიმალური სტანდარტები დააკმაყოფილოს. ჩვენ არ შევასრულებთ მის ყველა სურვილს, მხოლოდ იმას გავაკეთებთ, რაც საერთო ევროპულ ინტერესშია“, — აღნიშნა ანგელა მერკელმა.

სტუდენტების შეხვედრა გერმანიის კანცლერთან შეაფასა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ: „კარგია ასეთი შეხვედრები აკადემიურ სივრცეში რომ იმართება, რადგან აქ გაცილებით უფრო თავისუფლად გრძნობენ თავს პოლიტიკოსები. თუმცა, დაისვა ძალიან მწვავე შეკითხვები და გაკეთდა ძალიან მკაფიო გზავნილები, რომელიც კარგა ხანია არ მოგვისმენია თავისუფალი სამყაროს ლიდერებისგან. მნიშვნელოვანია, რომ ეს მოხდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კედლებში, რომელიც დაფუძნებულია ლიბერალურ ტრადიციებზე და დღესაც აგრძელებს ამ ტრადიციას. სტუდენტების კითხვებსა და კანცლერის პასუხებში ნათლად ჩანდა, რომ ევროგაერთიანება არის ჩვენი მომავალი. ქალბატონმა კანცლერმა შეხვედრის შემდგომ აღნიშნა — იგრძნობა, რომ საქართველოში არის ევროპეიზმის ძალიან მაღალი მუხტი და ეს დასაფასებელია“, — განაცხადა გიორგი შარვაშიძემ.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეხვედრის ბოლოს, საქართველოსა და გერმანიის სახელმწიფოებს შორის ურთიერთობაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისათვის, თსუ-ის რექტორმა გერმანიის კანცლერს ანგელა მერკელს უნივერსიტეტის საიუბილეო მედალი გადასცა.

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტზე მეორე საერთაშორისო საზაფხულო სკოლა გაიხსნა

10 სექტემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა საერთაშორისო საზაფხულო სკოლა თემაზე — „სტარტაპი“. საზაფხულო სკოლის ორგანიზატორები არიან თსუ-ის ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი და კობლენცის (გერმანია) გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტის ბიზნესისა და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი.

საზაფხულო სკოლა გახსნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორმა გიორგი შარვაშიძემ. ცერემონიალს საქართველოს მხრიდან ესწრებოდნენ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი გიორგი ღაღანიძე, მენეჯმენტისა და ადმინისტრირების კათედრისა და საზაფხულო სკოლის ხელმძღვანელი პროფესორი დავით ნარმანია და სკოლის კოორდინატორი სოფიკო ჯვარშეიშვილი; გერმანიის მხრიდან — კობლენცის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტის პროფესორი და საზაფხულო სკოლის ხელმძღვანელი მაგდალენა შტულბი, პროფესორი გაბრიელა ვოლფი, სვენ ბინდერი და ლაურა ვერდერი.

საზაფხულო სკოლაში მონაწილეობდნენ ქართველი, გერმანელი და აზერბაიჯანელი სტუდენტები ბაქოს უნივერსიტეტიდან. სტუდენტები ქმნიან სამენოვან სასწავლო-საკონსულტაციო ჯგუფებს და განიხილავენ საქართველოში, აზერბაიჯანსა და გერმანიაში სტარტაპის ხელშემწყობ და ხელისშემშლელ ფაქტორებს. საზაფხულო სკოლის მონაწილეებს საშუალება აქვთ მოისმინონ არა მხოლოდ ლექცია-სემინარები, არამედ მოინახულონ თბილისში არსებული სხვადასხვა დამწყები და ასევე ბაზარზე უკვე დამკვიდრებული საწარმოები, გაეცნონ მათ მიღწევებს, პრობლემებს, შეისწავლონ მათი შესაძლებლობები და გაუწიონ კონსულტაციები.

ამ მიზნით, სტუდენტებს თავისი მომსახურება შესთავაზეს ბიზნესის სხვადასხვა სფეროში მოღვაწე კომპანიებმა. კერძოდ, ტურიზმის სფეროში მოღვაწე ახლად გახსნილმა სასტუმრომ „ხოხობი“ (გენერალური მენეჯერი თამარ კვერნაძე), სამედიცინო დაზღვევის კომპანია „ალფამ“ (წარმომადგენლები — ნათია კვარაცხელია და სოფიო ღიბრაძე) და სპორტულმა ბიზნეს-კომპანიამ „ფორსპორტი“ (ხელმძღვანელი გიორგი ხაჩიძე).

საზაფხულო სკოლის მონაწილეებს გადაეცემათ საერთაშორისო სერტიფიკატები.

უჩა გოგიშვილი,
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობების სამსახურის უფროსი

ქართული კარტოგრაფიული სკოლის საერთაშორისი აღიარება

24-28 ივლისს გერმანიის ქალაქ ბონში გაიმართა საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია "InterCarto/InterGIS24", რომლის მუშაობაში ქართველ მეცნიერთა ჯგუფმა მიიღო მონაწილეობა. კონფერენცია მიმდინარეობდა გაეროს ენებზე. ქართველ მეცნიერთა შორის იყვნენ ჩვენი უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორები — თენგიზ გორდეზიანი და რობერტ მაღლაკელიძე; დოქტორანტები თედო გორგოძე და გოჩა გუძუაძე; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი ზურაბ ლაოშვილი და სოხუმის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი რევაზ თოლორდავა. ფორუმი ტარდება 1994 წლიდან. ამჯერად რიგით 24-ე კონფერენცია საერთაშორისო კარტოგრაფიული ასოციაციის სამუშაო კომისიის — „კარტოგრაფია და გეოინფორმატიკა მდგრადი განვითარებისათვის და მეცნიერებებში საერთაშორისო საბჭოსთან (ICSU) არსებული „მეცნიერებასა და ტექნოლოგიებში მონაცემთა დისციპლინათშორისი კომიტეტის (CODATA)-ის“ ეგიდით გაიმართა.

კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის ხელმძღვანელი იყო საერთაშორისო კარტოგრაფიული ასოციაციის კომისიის „კარტოგრაფია და გეოინფორმატიკა მდგრადი განვითარებისათვის“ თავმჯდომარის მოადგილე, პროფესორი ჰორსტ კრემერსი. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ მსოფლიოს 17 ქვეყნის 100-მდე მეცნიერი, მათ შორის იყვნენ: საერთაშორისო კარტოგრაფიული ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტები: გეორგ გარტნერი (ავსტრია), მილან კონეჩნი (ჩეხეთი), ზემოთ აღნიშნული კომისიის თავმჯდომარე ვლადიმირ ტიკუნოვი (რუსეთი) და სხვები.

ქართველ მეცნიერთა მოხსენებების თემატიკაში წარმოდგენილი იყო: „ქართული კარტოგრაფიისა და გეოინფორმატიკის მიღწევები ვახუშტი ბაგრატიონის მოღვაწეობიდან (მე-18 ს.) დღემდე“ (მომხსენებელი — ასოც. პროფ. თენგიზ გორდეზიანი), „ქალაქების ატლასური კარტოგრაფირება (ქ. ქუთაისის მაგალითზე)“ — (მომხსენებელი — დოქტორანტი თედო გორგოძე), „ლანდშაფტურ-ეკოლოგიური კარტოგრაფირება ტყეთმოწყობის მიზნებისათვის“ (მომხსენებელი — დოქტორანტი გოჩა გუძუაძე), „ქ. თბილისის წყალმომარაგების კორპორაციული გეოინფორმაციული სისტემა“ (მომხსენებელი პროფ. ზურაბ ლაოშვილი), „ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლების გეოინფორმაციული კარტოგრაფირება“ (მომხსენებლები: ასოც. პროფ. რობერტ მაღლაკელიძე და ასოც. პროფ. რევაზ თოლორდავა).

კონფერენციაზე წარმოდგენილ იქნა ქართული კარტოგრაფიის ძირითადი მიღწევები. ქართველ მეცნიერთა მხრიდან განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა მსოფლიოში აღიარებული თეორიული კონცეფციის — მეტაკარტოგრაფიის შესახებ, რომლის ავტორია საქვეყნოდ ცნობილი ქართველი კარტოგრაფი ალექსანდრე ასლანიკაშვილი. კონფერენციაზე კიდევ ერთხელ გაიჟღერა გამოჩენილი ქართველი გეოგრაფისა და კარტოგრაფის, მოგზაურისა და ექსპერიმენტატორის ნიკო ბერუჩაშვილის სახელმა. აღინიშნა მისი როლის შესახებ — საქართველოში ახალი მიმართულების — გეოინფორმატიკის — დანერგვასთან დაკავშირებით. კონფერენციის საგამოფენო-საჩვენებელ ნაწილში წარმოდგენილ იქნა ქართული კარტოგრაფიისა და გეოინფორმატიკის მიღწევები: სხვადასხვა წლებში გამოცემული საქართველოს ეროვნული ატლასები, ოფიცრის ატლასი, ვახუშტის ატლასი, რუკები, ბუკლეტები, სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები და სხვა.

კონფერენციის მუშაობის პროცესში, სასწავლო პროგრამების გაცვლის მიზნით, ქართველმა მეცნიერებმა დაამყარეს სამეცნიერო-პედაგოგიური კონტაქტები სხვადასხვა ქვეყნის ცნობილ მეცნიერ-კარტოგრაფებთან. ქართველ მეცნიერთა მოხსენებები სტატიების სახით გამოქვეყნდა კონფერენციის მასალების კრებულში. მიღწეულ იქნა მნიშვნელოვანი შეთანხმებები ორი მიმართულებით: 2019 წლიდან თბილისში გამოიცეს „საქართველოს კარტოგრაფთა ასოციაციის“ პერიოდული გამოცემა (სამეცნიერო ჟურნალის სახით) — „კარტოგრაფია და გეოინფორმატიკა“ ინგლისურ ენაზე; 2020 წლის ივლისისათვის დაიგეგმა, რომ ანალოგიური კონფერენცია InterCarto/InterGIS26 გაიმართოს თბილისში, ჩვენი უნივერსიტეტის ბაზაზე.

„პოლიშარ 26“ საერთაშორისო ფორუმი თსუ-ში

10-13 სექტემბერს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართა 26-ე საერთაშორისო ფორუმი „პოლიშარ-26“ (PolyChar 26) მოწინავე მასალებში.

ფორუმში მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 100-მდე მეცნიერმა და პროფესიონალმა ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის, მექანიკის, სამედიცინო და საინჟინრო დარგებიდან.

ფორუმი გახსნა თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის პროფესორმა, ფორუმის ორგანიზატორმა ომარ მუკბანიანმა, რომელიც მიესალმა მონაწილეებს და მადლობა გადაუხადა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციას ფორუმის ორგანიზებაში გაწეული დახმარებისთვის.

ფორუმს მიესალმა თსუ-ის რექტორის მოადგილე, პროფესორი ალექსანდრე ცისკარიძე, რომელმაც აღნიშნა, რომ „პოლიშარ-26“ არის კარგი შესაძლებლობა ახალგაზრდა მეცნიერებისთვისა და სტუდენტებისთვის, რომ გაეცნონ იმ წარმატებებს, რომელიც ამჟამად თვალშისაცემია პოლიმერების შესწავლის კუთხით. გარდა ამისა, კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობენ ექსპერტები სხვადასხვა ქვეყნებიდან, რაც დამატებით კარგი საშუალებაა იდეების ურთიერთგაცვლისა და ერთობლივი პროექტების წამოწყებისა.

მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა „პოლიშარ 26“-ის იდეის ავტორმა, ჩრდილოეთ ტეხასის უნივერსიტეტის პროფესორმა ვიტალდ ბროსტოვმა (Witold Brostow), რომელმაც აღნიშნა, რომ იგი რამდენჯერმე სტუმრობდა საქართველოს და აღფრთოვანებულია ამ ქვეყნის ისტორიითა და სამეცნიერო განვითარების პერსპექტივით: „ეს არის ქვეყანა, რომელიც საუკუნეებია, რაც ჩართულია მსოფლიო მეცნიერებაში, ტექნოლოგიის განვითარებასა და კულტურაში. როდესაც ჩვენ პირველად ჩავატარეთ ფორუმი, ვერც კი წარმოვიდგენდით, რომ ამას გავიმეორებდით. თავდაპირველად გავაერთიანეთ 7 ქვეყანა და ჩავატარეთ მეორე ფორუმი, შემდეგ შემოგვიერთდნენ 16 ქვეყნის წარმომადგენლები და ახლა, ყოველ წელს, დაახლოებით, 40 ქვეყნის მეცნიერს ვაერთიანებთ. მიზანი არის უდიდესი — ინფორმაციის გაცვლა-გაზიარება, თუმცა, ჩემთვის მნიშვნელოვანია, რომ რამდენიმე ახლო მეგობარი გავიჩინე საქართველოში, მათ შორის არის პროფესორი ომარ მუკბანიანი, რომელიც ყველანაირად ჩართულია ფორუმის მუშაობაში“.

ჩეხმა მეცნიერმა დუშან ბერეკიმ თავის გამოსვლაში აღნიშნა, რომ ამგვარი ფორუმები კარგი საშუალებაა ახალგაზრდებისთვის შესაძლებლობების წარმოსაჩენად.

მსოფლიო სამეცნიერო ფორუმის — „პოლიშარ-26“-ის სამეცნიერო კომიტეტის წევრმა, თსუ-ის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ქიმიის დეპარტამენტის მაკრომოლეკულების ქიმიის კათედრის გამგემ, პროფესორმა ომარ მუკბანიანმა ჩვენთან საუბარში აღნიშნა, რომ „კონფერენციაზე მასშტაბურად იყო წარმოდგენილი სამეცნიერო სიახლეები. ასევე, მსოფლიოში ცნობილმა და წამყვანმა მეცნიერებმა სტუდენტებს წაუკითხეს ლექციები. ფორუმი მნიშვნელოვანია, რადგან ის მიმდინარეობს უნივერსიტეტის საიუბილეო წელს და მას ესწრება „პოლიშარის“, როგორც იდეის ავტორი და პრეზიდენტი, ჩრდილოეთ ტექასის უნივერსიტეტის პროფესორი, თსუ-ის საპატიო დოქტორი ვიტოლდ ბროსტოუ.

ომარ მუკბანიანი

პოლიშარი არის ყოველწლიური კონფერენციების სერია, რომელიც დაიწყო 1992 წელს ქ. დენტონში. მის შემდეგ ეს ფორუმი სხვადასხვა კონტინენტსა და ქვეყანაში ტარდება. ფორუმი თავდაპირველად შემოიფარგლებოდა პოლიმერული მასალების მახასიათებლებით, მაგრამ ახლა ყველაზე პოპულარული საკონფერენციო სერიაა მოწინავე მასალებში.

ფორუმის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მიზანია ახალგაზრდა მეცნიერებმა და ინჟინრებმა წარმოადგინონ საკუთარი და მსოფლიოს მასშტაბით მიღწეული შედეგები. ამიტომ, ფორუმს წინ უძღვის ლექციათა კურსი ახალგაზრდა მკვლევრებისათვის და ინჟინრებისთვის, რითაც ის განსხვავებულია სხვა სამეცნიერო ღონისძიებებისაგან.

თბილისში მიმდინარე ფორუმის ფარგლებში ახალგაზრდა მეცნიერების და სტუდენტების საუკეთესო მოხსენებები და პოსტერები ფორუმის სამეცნიერო კომიტეტის საპრიზო კომისიის მიერ დაჯილდოვდება პრიზებით და საპატიო დიპლომით. ფორუმის მასალები/სტატიები დაიბეჭდება საერთაშორისო მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში.

რა სიახლეა ფაკულტეტებზე ახალი სასწავლო წლისთვის?

■ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

თამარ ჭელიძე,
ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე:

— ამ პერიოდისთვის ყველაზე აქტუალური, ცხადია, ახალი სტუდენტების ნაკადია. წელს 940-მა აბიტურიენტმა გადალახა ფაკულტეტის მიერ დაწესებული მაღალი კომპეტენციის ზღვარი და გახდა ჩვენი სტუდენტი, რაც შარშანდელზე 42%-ით მეტია. მათგან 176 სტუდენტი ჩაირიცხა სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამებზე. აღსანიშნავია, რომ ფაკულტეტზე ჩაირიცხნენ მაღალრეიტინგული სტუდენტები — მათ უმრავლესობას აქვს სახელმწიფო გრანტი, 3 სტუდენტი — გიორგი პეტრიაშვილი, ლევან გოჯიაშვილი და საბა ბირკაძე, რომლებიც სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ქიმია-ბიოქიმია საბაკალავრო პროგრამაზე ჩაირიცხნენ, არიან საერთაშორისო სასწავლო ოლიმპიადაში მონაწილე საქართველოს ნაკრები გუნდის წევრები, ამავე პროგრამაზე ჩარიცხულ დევი ონიანს აქვს საქართველოში ყველაზე მაღალი ქულა ზოგად უნარებში, ნიკა ნიაურმა მიიღო უმაღლესი ქულა მათემატიკაში, ხოლო დემურ მერკვილაძეს აქვს ყველაზე მაღალი საკონკურსო ქულა უნივერსიტეტში.

აღსანიშნავია, რომ ფაკულტეტის ადმინისტრაცია და აკადემიური პერსონალი ყველაფერს აკეთებს მაღალი ხარისხის კვლევაზე დაფუძნებული სწავლების უზრუნველსაყოფად. ფაკულტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობას მაღალი ხარისხის სამეცნიერო პროდუქციის შექმნის მიზნით და სტუდენტების ბაკალავრიატის საფეხურიდანვე ჩართვას სამეცნიერო კვლევებში. ყოველწლიურად ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის მიერ მაღალრეიტინგულ, იმპაქტ-ფაქტორის მქონე (Thomson Reuters-ის მიხედვით) ჟურნალებში ქვეყნდება 100-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომი ციტირების მაღალი ინდექსით, რაც მნიშვნელოვანწილად განაპირობებს თსუ-ის წარმატებას უნივერსიტეტთა საერთაშორისო რანჟირების სისტემებში.

ფაკულტეტი წელიწადში რეგულარულად აწყობს საფაკულტეტო სამეცნიერო კონფერენციებს აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მონაწილეობით. საუკეთესო სტუდენტური ნაშრომების ავტორები ჯილდოვდებიან დეკანის პრიზით.

ფაკულტეტზე მუდმივად მიმდინარეობს სასწავლო პროგრამების დახვეწა და მოდერნიზაცია. ორი პროგრამა — კომპიუტერული მეცნიერებები და ელექტრული და ელექტრონული ინჟინერია 2019 წელს საქართველოში პირველად მიიღებს საერთაშორისო (ABET) აკრედიტაციას, რაც ამ სფეროებში შრომის ბაზარზე კიდევ უფრო კონკურენტუნარიანი პროფესიონალების მომზადების გარანტიაა.

ფაკულტეტზე მუდმივად ხდება სასწავლო-სამეცნიერო ლაბორატორიების აღჭურვილობის გაუმჯობესება. სან-დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ შესყიდულია ბირთვული მაგნიტო-რეზონანსული დანადგარი (NMR), რომელიც დამონტაჟდა თსუ-ის II კორპუსში.

■ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

ნანა გაფრინდაშვილი,
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი:

— აღსანიშნავია, რომ ფაკულტეტმა შეინარჩუნა ლიდერის პოზიცია ჰუმანიტარული პროფილის ფაკულტეტებს შორის ქვეყნის მასშტაბით როგორც სასწავლო, ასევე სამეცნიერო კუთხით. ფაკულტეტზე ხორციელდება 10 სადოქტორო, 36 სამაგისტრო, 29 ძირითადი საბაკალავრო პროგრამა და 4 დამატებითი, რომელთაც ძირითადი საბაკალავრო პროგრამა არ აქვს; აგრეთვე, ქართულ ენაში მომზადების პროგრამა, 4 საგნობრივი პროფესიული და 1 მოდულური პროგრამა. ფაკულტეტზე 19 სასწავლო-სამეცნიერო ინსტიტუტი და 8 ცენტრი ფუნქციონირებს.

ფაკულტეტი ზრუნავს პროგრამული კურიკულუმების სრულყოფაზეც. ახალი სასწავლო წლიდანაც იგეგმება ინგლისურენოვანი სასწავლო კურსების ჩამონათვალის გამრავალფეროვნება და ახალი კურსების დამატება, რომელთა შეთავაზება თსუ-ის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტს შეუძლია გაცვლითი პროგრამებით ჩამოსული უცხოელი სტუდენტებისათვის.

აღსანიშნავია, რომ ფაკულტეტის პროგრამათა ერთი ნაწილის რეაკრედიტაცია 2020 წლამდე (ჰუმანიტარული მიმართულება) მოხდება, მეორე ნაწილისა კი — 2021 წლამდე (მიმართულებათშორისი დარგები). მომავალ წელს რეაკრედიტაცია ფაკულტეტის პროგრამებიდან არაქართულენოვანთათვის ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამას უწევს. ამ პროგრამას აკადემიურთან ერთად დიდი პოლიტიკურ-საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობაც აქვს. პროგრამის რეაკრედიტაციისათვის ფაკულტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალი სრულ მზადყოფნაშია.

საბაკალავრო პროგრამებზე შარშან 750 ადგილი გვქონდა გამოცხადებული, 2018-2019 სასწავლო წელს კი — 900 ადგილი.

წელს ფაკულტეტმა ქართულ ენაში მომზადების პროგრამის სტუდენტების ჩათვლით 1300 სტუდენტი მიიღო, რაც ბევრად აღემატება შარშანდელ მიღებას. ჩვენი აკადემიური თუ ადმინისტრაციული და მატერიალური რესურსები სრულიად საკმარისია, რომ ფაკულტეტმა შეასრულოს თავისი მისია და სტუდენტებს გარანტირებულად შესთავაზოს მაღალხარისხიანი საგანმანათლებლო მომსახურება.

■ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

თამარ გაგოშიძე,
ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი:

— ჩვენს ფაკულტეტზე სამედიცინო ფაკულტეტიდან გადმოვიდა ოკუპაციური თერაპიის საბაკალავრო პროგრამა. ეს სასწავლო მოდული ახალია, რამდენიმე წლის წინ შეიქმნა, საერთაშორისო გრანტის დაფინანსებით ამოქმედდა და, ფაქტობრივად, ჰოლანდიური განათლების საბაკალავრო პროგრამის ანალოგია. ბოლო 2 წელია მედიცინისა და ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტების წარმომადგენლები ოკუპაციური თერაპიის პროგრამის განვითარების საკითხს განვიხილავთ, რადგან მედიცინის ფაკულტეტზე ამ მხრივ პრობლემები შეიქმნა. მოგეხსენებათ ქართველების მენტალიტეტი და ცნობიერება — მედიცინის ფაკულტეტზე რომ აბარებ, აუცილებლად ექიმი უნდა გამოხვიდე. საზოგადოებას არ აქვს ინფორმაცია — რას ნიშნავს ოკუპაციური თერაპევტი და როდესაც სამედიცინოზე აბარებდნენ, ირჩევდნენ ამ მიმართულებას, რადგან ნაკლები კონკურსი იყო. შემდეგ კი სტუდენტების უმრავლესობას მედიცინის მიმართულებაზე გადაჰქონდა საბუთები.

მედიცინის ფაკულტეტმა ძალიან ბევრი რამ გააკეთა პროგრამის განვითარებისთვის — შექმნა კარგი მატერიალური ბაზა, ოკუპაციური თერაპევტებისთვის გამოიყო ფართი — 5 ოთახი, ადმინისტრაცია ყველანაირად ხელს უწყობდა პროგრამის განვითარებასა და ეფექტურად განხორციელებას, მაგრამ სტუდენტები მაინც გადადიან სამედიცინო სპეციალობაზე, რაც ოკუპაციურ თერაპიას აზარალებს. ამ დროს კი აუცილებელია ოკუპაციურ თერაპიაზე სტუდენტების გარკვეული რაოდენობა სწავლობდეს. სოციალური სერვისი, ფსიქოლოგიური სერვისი, სამედიცინო სერვისი, რეაბილიტაცია, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებთან მუშაობა, ინკლუზიური განათლება, ინკლუზიური პრაქტიკები — ნებისმიერი ასეთი ტიპის სერვისი აუცილებლად საჭიროებს ოკუპაციურ თერაპევტს, აღარ ვლაპარაკობ ნევროლოგიურ რეაბლიტაციურ კლინიკებზე. ოკუპაციურ თერაპევტებზე მოთხოვნა დიდია, მაგრამ სპეციალისტები არ არიან. მაგალითად, ჩვენი სერვისი ნეიროფსიქოლოგიური მომსახურებაა და ერთი ოკუპაციური თერაპევტი გვყავს. დიდი ხანია ვეძებთ გამოცდილ ოკუპაციურ თერაპევტს, მაგრამ ვერ ვიპოვეთ.

ამ დროისთვის ოკუპაციური თერაპიის საბაკალავრო პროგრამაზე ყოველ წელს 10 სტუდენტს ვიღებთ. ვგეგმავთ, რომ მომავალი წლიდან ეს რიცხვი 20-მდე გავზარდოთ. ერთადერთი პრობლემა, რაც გვაქვს, ეს ფართია, რის გამოც ამ მიმართულების სტუდენტებს პრაქტიკული სწავლების გავლა იანვრამდე მორფოლოგიის ინსტიტუტის შენობაში მოუწევთ. ამ დროისთვის დგება სასწავლო ცხრილი და ვგეგმავთ ოკუპაციური თერაპიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისთვის გზამკვლევების დაბეჭდვასაც. ტრადიციულად გაიმართება პირველკურსელთა დახვედრის ცერემონიალიც.

რაც შეეხება ფსიქოლოგიისა და განათლების მიმართულებებს, წელს ფსიქოლოგიის სპეციალობაზე 125-ის ნაცვლად 200 სტუდენტი მივიღეთ. მიუხედავად იმისა, რომ ბევრ უმაღლეს სასწავლებელშია ფსიქოლოგიის საბაკალავრო პროგრამა, ჩვენთან კონკურსი საკმაოდ დიდი იყო — ერთ ადგილზე 3 მსურველი გახლდათ. განათლების დეპარტამენტის ხელმძღვანელის ქეთევან ჭკუასელის ინიციატივით, დაწყებითი განათლების მასწავლებელთა პროგრამაზე მისაღები რაოდენობა გავზარდეთ. წინა წლებში სახელმწიფო კვოტით ირიცხებოდა 25 სტუდენტი და დავამატეთ ფასიანი 25 ადგილი. გვაინტერესებდა, რამდენ ადამიანს ექნებოდა მოტივაცია და სურვილი — გამხდარიყო მასწავლებელი. ადგილები სრულად არ შეივსო, თუმცა გარკვეული ინტერესი გამოჩნდა.

■ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

თამარ დოლბაია,
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი:

— ახალ სასწავლო წელს ვხვდებით სტუდენტთა გაზრდილი კონტინგენტითა და განახლებული ინფრასტრუქტურით. გარემონტდა მე-6 კორპუსის ფოიე და სანიტარული კვანძები.

განვახორციელეთ სტრუქტურული ცვლილებები და ფაკულტეტს შემოვუერთეთ ორი კვლევითი ინსტიტუტი: „საქართველოს სამეზობლოს კვლევებისა“ და „კონფლიქტოლოგიის“; დავსახეთ ახალი მიზნები და ამოცანები, რათა ამ ინსტიტუტებში წარმოებული კვლევები საფუძველი იყოს სასწავლო პროცესში სიახლეების შემოტანისა.

ფაკულტეტის სტრუქტურული ერთეული გახდა მულტიმედია ცენტრი, რომელიც ინტეგრირებულია ჟურნალისტიკისა და მასკომუნიკაციის კურიკულუმთან და სტუდენტებს მისცემს დიდ შესაძლებლობას პრაქტიკული უნარ-ჩვევების დასაუფლებლად და გასავითარებლად.

ფაკულტეტისთვის მნიშვნელოვანი შენაძენია გეოინფორმაციული სისტემების ლაბორატორია, რომლის ბაზაზეც კვლევითი სამუშაოების დაგეგმვა-განხორციელების საშუალება მიეცემა როგორც საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების პროფესურასა და სტუდენტობას, ასევე ყველა დაინტერესებულ პირს. გეოინფორმაციული სისტემების ლაბორატორიაში შექმნილი პროდუქცია ციფრული რუკებისა და სხვა სახით, შესაძლებელია იქცეს ფართო საზოგადოების მოხმარების საგნად და ფაკულტეტისთვის დამატებითი შემოსავლის წყაროდ.

საგანმანათლებლო პროგრამების მოდერნიზაცია და ახლის შექმნა მუდმივი პროცესია. პირველად განხორციელდება მიღება ორმაგი აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელ სადოქტორო პროგრამაზე — „ურბანისტიკა“. იგეგმება 2 ინგლისურენოვანი სამაგისტრო პროგრამის სააკრედიტაციოდ მომზადება.

სტუდენტთათვის კვლავ პრობლემად რჩება ქართულ სინამდვილეზე მორგებული სახელმძღვანელოებით სწავლა. ამისთვის ფაკულტეტი ახორციელებს „სახელმძღვანელოების პროექტს“. კონკურსში გამარჯვებული ავტორები შემოდგომის სემესტრის ბოლოს წარმოადგენენ შექმნილ სახელმძღვანელოებს სოციოლოგიაში, საზოგადოებრივ გეოგრაფიასა და მასობრივ კომუნიკაციაში.

პროფესორთა სამეცნიერო აქტივობების ფინანსური ხელშეწყობის მიზნით, პირველად ბიუჯეტში შევიტანეთ მუხლი — „საერთაშორისო ინდექსირებულ ჟურნალებში გამოქვეყნების ხარჯები“.

ვიწყებთ საჯარო ლექციათა ციკლს მულტიმედია პლატფორმისთვის, ფაკულტეტის პროფესურის ჩართულობით.

შემოდგომის სემესტრში ვგეგმავთ ფაკულტეტთაშორისი სამეცნიერო ჟურნალის „გარემო და საზოგადოება“ პრეზენტაციას, რომელიც შექმნილია სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტების ბაზაზე.

გვ. 10

რა სიახლეა ფაკულტეტებზე ახალი სასწავლო წლისთვის?

მე-9 გვერდიდან

ამ სასწავლო წელსაც ვაგრძელებთ საერთაშორისო სამეცნიერო და სტუდენტური კონფერენციების ციკლს, სტუდენტური ჟურნალების გამოცემას, სეზონური სკოლების ორგანიზებასა და სხვა ყოველწლიურ აქტივობებს.

სტუდენტთა მომსახურების გასაუმჯობესებლად განვახორციელებთ საპილოტე პროექტს დამხმარე პერსონალის შეფასების მიზნით.

■ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

გიორგი ღაღანიძე,
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანი:

— ახალ სასწავლო წელს ვიწყებთ ძალიან კარგი მოტივაციით. თსუ ყველაზე მოთხოვნადი უმაღლესი სასწავლებელია და, მიუხედავად იმისა, რომ ბიზნეს ადმინისტრირების სპეციალობაზე მოსახვედრად მათემატიკაში ყველაზე მაღალი ზღვარი გვაქვს, სტუდენტების მიღების თვალსაზრისით, კარგი შედეგები მივიღეთ. თსუ ზღვარს ვერ დაწევს. ჩვენ ვიყავით და ვართ ლიდერები. ლიდერობა კი ნიშნავს, რომ აბიტურიენტებმა, რომლებსაც აქ სწავლის გაგრძელება სურთ, მაღალი მოთხოვნები უნდა დააკმაყოფილონ. წელს 400 სტუდენტი მივიღეთ ეკონომიკის სპეციალობით, 298 — ბიზნეს ადმინისტრირების მიმართულებით. საკმაოდ დიდია გარე მობილობით გადმოსული სტუდენტების რაოდენობაც. ბიზნეს ადმინისტრირების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები განახლებულია, რომლებსაც აკრედიტაცია უკვე მიენიჭა. ახლა ველოდებით სადოქტორო საფეხურის აკრედიტაციის კომისიის შეფასებას.

ახალ სასწავლო წელს ვხვდებით განახლებული სილაბუსებით, აქტიურად მიმდინარეობს სახელმძღვანელოების თარგმნისა და გამოცემის პროცესიც. ამ მხრივ აქტიურია ჩვენი პერსონალი, ვიყენებთ ყველა შესაძლებლობას. გასულ სასწავლო სემესტრში გამოვეცით სტრატეგიული მენეჯმენტის სახელმძღვანელო. ამ პროექტის ინიციატორი პირადად გახლდით და რეკორდულად მოკლე დროში განვახორციელეთ. თსუ-ის გამომცემლობამ, რომელიც ცნობილია თავისი თავდადებითა და პროფესიონალიზმით, გამოცემა უზრუნველყო ძალიან მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე. ასევე, თარგმნილი და გამოცემულია სახელმძღვანელოები საერთაშორისო ბიზნესში, მაკროეკონომიკაში, სტატისტიკაში. მზადდება „მენეჯმენტის საფუძვლები“, რომლის მხოლოდ ელექტრონული ვერსია არსებობდა. მნიშვნელოვანი გამოცემაა კოტლერ კელერის „მარკეტინგის მენეჯმენტი“, რომელიც მარკეტინგის კათედრამ თარგმნა და ძირითადად მაგისტრატურის საფეხურზე გამოიყენება. თანამედროვე სახელმძღვანელოები სწრაფად „ბერდებიან“, ამიტომ ვფიქრობ, რომ დროა — ნელ-ნელა ელექტრონულ ფორმატზე გადავიდეთ. ეს პრაქტიკა დასავლურ წამყვან უნივერსიტეტებში აპრობირებულია. შესაძლებელი იქნება ბეჭდური გამოცემებიც, თუმცა მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტებისგან წამოვა მოთხოვნა. ამ ყველაფერს ვაკეთებთ იმ შესაძლებლობებით, რომელსაც თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და სხვადასხვა დონორი ორგანიზაციები გვაძლევენ. განსაკუთრებით აღსანიშნავია აშშ-ის საერთაშორისო დახმარების სააგენტო. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და ფაკულტეტის ადმინისტრაციის ხედვა ერთმანეთთან სრულ თანხვედრაშია, შესაბამისად, როდესაც ეს ფაქტორები ემთხვევა, ვიღებთ კარგ შედეგს.

ჩავატარეთ აკადემიური კონკურსები, რომლის შედეგებიც აკადემიურმა საბჭომ დაამტკიცა. ყველა კონკურსს თან სდევს გარკვეული უკმაყოფილება, რადგან კონკურსანტების ნაწილი ვერ იმარჯვებს. თუმცა, მინდა აღვნიშნო, რომ უკმაყოფილების დაბალი პროცენტია. საკმაოდ დაბალია აკადემიური პერსონალის ცვლილების პროცენტული მაჩვენებელიც, რადგან ჩვენს ფაკულტეტზე ძალიან ძლიერი კადრებია თავმოყრილი.

მომავალი წლიდან ვგეგმავთ, რომ დავამატოთ ახალი საბაკლავრო პროგრამა ტურიზმის მიმართულებით. დღეისათვის ტურიზმის სპეციალობა ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამის ქუდქვეშაა, რომელზე მოსახვედრადაც მათემატიკაში მაღალი ზღვარის გადალახვაა საჭირო. ტურიზმის საბაკალავრო პროგრამაზე მოსახვედრად კი პრიორიტეტული უცხო ენები და გეოგრაფია იქნება.

ამ დროისთვის სასწავლო კორპუსში მიმდინარეობს გარკვეული შიდასარემონტო სამუშაოები, სასწავლო წლის დაწყებისთვის ვაპირებთ ტექნიკის ნაწილის განახლებასაც.

■ იურიდიული ფაკულტეტი

თამარ ზარანდია,
იურიდიული ფაკულტეტის დეკანი:

— ყველაზე მნიშვნელოვანი ის არის, რომ ამჟამად II კორპუსის სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს. დიდი ხნის მანძილზე მეორე კორპუსის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა იყო ძალიან მძიმე, რაც სერიოზულ პრობლემას უქმნიდა ჩვენს სტუდენტებსა და პროფესურას. იმედი გვაქვს, რომ ამ სამუშაოების დასრულების შემდეგ ჩვენ გვექნება საგანმანათლებლო საქმიანობისათვის ღირსეული გარემო.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ პროგრამულ ნაწილში გვაქვს გარკვეული სიახლეები. 2017 წლის ბოლოს უცხოელი ექსპერტების მიერ საპილოტე რეჟიმში შეფასებულ იქნა იურიდიული ფაკულტეტის სამართლის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამები. ჩვენ მოგვეცა შესაძლებლობა, კომპეტენტური გარე შემფასებლის აზრი გაგვეგო ჩვენი სასწავლო პროგრამების ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ, რაც სასარგებლო იყო თავად ჩვენთვისაც. დასკვნა იყო ძალიან კარგი და რეკომენდაციების ნაწილი ფაკულტეტმა უკვე გაითვალისწინა და ასახა სასწავლო პროგრამებში. ძირითადად ვისაუბრებ საბაკალავრო პროგრამაზე, ვინაიდან ყველაზე მეტი სტუდენტი სწორედ ამ საფეხურზე გვყავს. მაგალითად, უცხოელი ექსპერტების რეკომენდაციით, საბაკალავრო საფეხურზე სტუდენტებს მეტი უკუკავშირი სჭირდებათ პროფესორებთან და ექსპერტების რჩევით, ზოგიერთ არჩევით დისციპლინას დაემატა სასემინარო მუშაობა. ამ რეკომენდაციას ამ ეტაპზე სრულად ვერ ვახორციელებთ, რადგან მეორე კორპუსის სარემონტო სამუშაოების გამო ამჟამად შეზღუდული სააუდიტორიო რესურსი გვაქვს. მას მერე, რაც ეს პროცესი დასრულდება, ამის აუცილებლობა გვექნება და დამატებით სააუდიტორიო რესურსს გამოვნახავთ, რათა ჩვენი ევროპელი კოლეგების ეს რეკომენდაცია სრულად განვახორციელოთ.

გარდა ამისა, მნიშვნელოვანი იყო რეკომენდაცია, რომელიც შეეხებოდა პრაქტიკული კურსების დანერგვას. საუნივერსიტეტო იურიდიული განათლების მიზანი არის შესაბამისი ცოდნისა და პრაქტიკული უნარების მქონე კურსდამთავრებულების მომზადება, რაც საბოლოოდ საუნივერსიტეტო დონეზე იურიდიული განათლების გაძლიერებას ემსახურება. ამ მიმართულებითაც ფაკულტეტმა უკვე გადადგა გარკვეული ნაბიჯები, ჩვენ შემოვიღეთ პრაქტიკული კურსები კერძო სამართალში, საჯარო სამართალში და სისხლის სამართალში. იმ სტუდენტებისთვის, რომლებიც მიმდინარე სემესტრში ჩაირიცხნენ სამართლის საბაკალავრო პროგრამაზე, ამ პრაქტიკული კურსების გავლა სავალდებულო იქნება, ხოლო სტუდენტები, რომლებიც ჩაირიცხნენ პროგრამის ამოქმედებამდე, ამ დისციპლინებზე დარეგისტრირდებიან სურვილის შემთხვევაში. პრაქტიკული კურსები ჩატარდება დარგის გამორჩეული პრაქტიკოსების, საბაკალავრო პროგრამაში ჩართული იურიდიული პროფესიის წარმომადგენლების — მოსამართლეების, პროკურორების, ადვოკატების მიერ.

მიმდინარე სასწავლო წელს ჩვენ შიდა მობილობით მივიღეთ 100 სტუდენტი. ამავდროულად, მივიღეთ 308 ახალგაზრდა შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში საბაკალავრო პროგრამის დახურვის შემდეგ. ამ სტუდენტებთან უკვე შედგა ერთი საორიენტაციო შეხვედრა, რათა მაქსიმალურად მივაწოდოთ ინფორმაცია ჩვენი პროგრამის შესახებ, ასევე, ინფორმაცია უნივერსიტეტში მოქმედი რეგულაციების, განსაკუთრებით სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესისა და უნივერსიტეტში მოქმედი ეთიკის სტანდარტებთან დაკავშირებით. საორიენტაციო შეხვედრებს კიდევ ვგეგმავთ, რათა ამ სტუდენტებს გაუადვილდეთ უნივერსიტეტში ადაპტაციის პროცესი.

დასასრულს მინდა აღვნიშნო, რომ იურიდიული ფაკულტეტი უპირობო ლიდერია იურიდიული განათლების სფეროში, რასაც თუნდაც საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურებზე არსებული უპრეცედენტოდ მაღალი კონკურსი ადასტურებს. გულწრფელად ვიტყვი, რომ ახალ სასწავლო წელს ჩვენი ფაკულტეტი რთულ ვითარებაში იწყებს, რადგან მეორე აკადემიური კორპუსის სარემონტო სამუშაოების გამო სხვადასხვა კორპუსებში გვიწევს სასწავლო პროცესის დაგეგმვა. ამ პროცესში ძალიან მნიშვნელოვანია უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და ყველა სტრუქტურული ერთეულის მხარდაჭერა. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია, რომ იურიდიულ ფაკულტეტს, რომელსაც კანონმდებლობა გარკვეულ ფარგლებში ავტონომიურობას ანიჭებს, ჰქონდეს განვითარების მეტი შესაძლებლობა და მეტი ფინანსური ავტონომია, რათა ფაკულტეტმა შეძლოს მის მიერ მოზიდული რესურსებიდან საკუთარი სტუდენტებისა და საკუთარი აკადემიური გუნდისათვის ღირსეული პირობების უზრუნველყოფა.

■ მედიცინის ფაკულტეტი

დიმიტრი კორძაია,
მედიცინის ფაკულტეტის დეკანი:

— ეს აკადემიური წელი მნიშვნელოვანია, რადგან აკრედიტაციისთვის ვემზადებით. საქართველოს აღებული აქვს ვალდებულება, რის მიხედვითაც ყველა სამედიცინო საგანმანათლებლო პროგრამას საერთაშორისო აკრედიტაცია უნდა ჰქონდეს გავლილი. სწორედ ამიტომ, აუცილებელია მთელი რესურსების მობილიზება და პროგრამის წარმატებით აკრედიტაცია. ჩვენი პროგრამები ბოლო 5 წელია მოდერნიზების პროცესშია. წელს ჩამოვაყალიბებთ საბოლოო ვარიანტს, რომელსაც საქართველოში ანალოგი არ გააჩნია და ვფიქრობთ, ის უცხოელი ექსპერტების დადებით შეფასებას დაიმსახურებს. ახალი პროგრამის შესაბამისად უნდა მომზადდეს ყველა დოკუმენტი, ასევე, ვგეგმავთ დამატებით სიმულატორების შესყიდვას და კვლევითი ლაბორატორიების აღჭურვილობის გაუმჯობესებას. ფაკულტეტზე ამოქმედდება მუდმივი ცხრილი. სტუდენტებს შესაძლებლობა ექნებათ პირველი კურსიდანვე იცოდნენ — IV კურსზე რა დროს რა საგანი ექნებათ. 50-ზე მეტ კლინიკასთან გაფორმებულია აფილირებული ხელშეკრულება და, შესაბამისად, მათთან ყველაფერი შეთანხმებულია. დაგეგმილი გვაქვს ეზოს და ე.წ. მიწისქვეშა სართულის კეთილმოწყობის დასრულება. ფაკულტეტს უკვე შეძენილი აქვს ვიდეო-დემონსტრაციებისთვის საჭირო ტექნიკა. ყველა დიდი აუდიტორია აღჭურვილია მიკროფონებით.

პირველკურსელებს დახვდებათ ახალი კათედრა — „კლინიკური და კვლევითი უნარების განვითარების კათედრა“, რომელიც 20 კრედიტიან სასწავლო კურსებს წარმართავს. სტუდენტები კვლევითი და კლინიკური უნარ-ჩვევების შესწავლას პირველი კურსიდანვე დაიწყებენ. სასწავლო პროგრამაში ადრე გვქონდა მხოლოდ ჰორიზონტალური ინტეგრაცია — ერთდროულად ვასწავლიდით, მაგალითად, ნერვული სისტემის ანატომიას, ფიზიოლოგიას, ბიოქიმიას და ჰისტოლოგიას. ახლა დავიწყეთ ვერტიკალური ინტეგრაციაც — მაგალითად, როდესაც სტუდენტები ანატომიაში სწავლობენ ღვიძლს, მოწვეული ლექტორი, დარგის აღიარებული სპეციალისტი ღვიძლის ტრანსპლანტაციაზე წაიკითხავს ლექციას, რაც სტუდენტების ინტერესის ზრდის საფუძველი უნდა გახდეს.

დავიწყეთ გამოჩენილ მოღვაწეთა გალერეის შექმნა, სადაც უკვე განთავსებულია ნინო ჯავახიშვილისა და უჩა გაბუნიას ბიუსტები, გვინდა სხვა ადამიანების ბიუსტებიც დავამატოთ, ვისაც მედიცინის ფაკულტეტისა და მორფოლოგიის ინსტიტუტის წინაშე დიდი დამსახურება მიუძღვით. ფაკულტეტის დამფუძნებლების — სპირიდონ ვირსალაძის, ივანე თიკანაძისა და გრიგოლ მუხაძის კუთხე კი ცალკე მოეწყობა. აღსანიშნავია, რომ ჩვენი ფაკულტეტის შესახებ ტელეკომპანია „პულსმა“ მოამზადა 4-სერიანი ფილმი „სამედიცინო განათლების სათავეებთან“. ახლა მზადდება მე-5 სერია, რომელიც ტელეკომპანიის საჩუქარი იქნება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილესათვის.

აქილევსის ქუსლად რჩება უნივერსიტეტის საკუთარი კლინიკა, რომელიც გვაქვს, თუმცა რემონტისთვის თანხებია მოსაძიებელი.

გია ლობჟანიძე,
მედიცინის ფაკულტეტის მეცნიერებისა და განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი:

— საუნივერსიტეტო კლინიკის გახსნის ორი ვარიანტი გვაქვს — შესაძლებელია გარემონტდეს შენობა, რომელიც კონსტიტუციის ქუჩაზე მდებარეობს და იქ 70 საწოლზე გათვლილი კლინიკა გაიხსნას ან განხორციელდეს ე.წ. „ჩანაცვლების“ პროექტი: ინვესტორი კონსტიტუციის ქუჩაზე მდებარე შენობის სანაცვლოდ თსუ-სთვის მორფოლოგიის ინსტიტუტის ეზოში აააშენებს 120 საწოლზე გათვლილ კლინიკას. ამის შესახებ მოლაპარაკება მიდის მთავრობისა და მერიის წარმომადგენლებთან. პროცესში აქტიურად არის ჩართული თსუ-ის რექტორი. გადაწყვეტილების მიღებიდან 2 წელიწადში თსუ-ის საუნივერსიტეტო კლინიკის კეთილმოწყობა დასრულდება.

ასევე აღსანიშნავია, რომ ჩვენი ფაკულტეტი აგრძელებს მაღალრეიტინგული სახელმძღვანელოების თარგმნასა და გამოცემას. უკვე გამოიცა სახელმძღვანელოები ტრავმატოლოგიაში, ქირურგიასა და ანატომიაში, დღე-დღეზე სტამბიდან გამოვა ფარმაკოლოგიის სახელმძღვანელო. ითარგმნება მეანობა-გინეკოლოგიისა და თერაპიის სახელმძღვანელოებიც.

დევნილობაში მოძებნილი ერთი სტუდენტის წარმატების ფორმულა

შურთხია ბეროშვილი

18 წლის ნიკო გვალიამ „სამყაროს შესაცნობად“ ფიზიკა აირჩია, თუმცა, ოქროსმედალოსან მოსწავლეს დიდი არჩევანი ჰქონდა... ზუგდიდის მე-5 საჯარო სკოლაში სწავლისას იგი ყველა საგანს კარგად ფლობდა და საზოგადოებრივ საქმიანობაშიც არ გასჭირვებია თავის გამოჩენა.

მიზნების განხორციელების მთავარი ეტაპი, მისი აზრით, სწორედ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იწყება... ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერების ფაკულტეტის ფიზიკის მიმართულების პირველკურსელს სჯერა, რომ სწორედ აქ შეუძლია კარგი განათლება მიიღოს.

„რატომ ფიზიკა? — ალბათ იმიტომ, რომ სწორედ ამ მეცნიერებას შეუძლია ბევრ პასუხგაუცემელ კითხვას გასცეს პასუხი, რომელიც კაცობრიობას დღემდე აწუხებს. მე სკოლის ასაკიდან ვადევნებ თვალს ქართველი ფიზიკოსების საქმიანობას ცერნში, განსაკუთრებით გია დვალის სამეცნიერო მოღვაწეობას... სოციალურ ქსელში უამრავი მეგობარი შევიძინე, რომლებიც, ასევე, ფიზიკით არიან დაინტერესებულები და მათთან ურთიერთობამ შემართება და მოტივაცია გამიძლიერა. ჩემი გეგმები თეორიულ ფიზიკას და მომავალში სამეცნიერო საქმიანობას უკავშირდება, ამისთვის ძალას და ენერგიას არ დავიშურებ“, — ამბობს ნიკო.

სკოლაში შესაშური აქტივობით გამოირჩეოდა: სკოლის თვითმმართველობის პრეზიდენტი, სასკოლო ტურებში მონაწილეობის გარდა, ჩართული იყო სხვადასხვა პროექტებში, რომელიც რეგიონის მასშტაბით ხორციელდებოდა. იყო ზუგდიდის ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის საკვირაო სკოლის აქტიური წევრი და დებატებშიც იღებდა მონაწილეობას. ის დანაშაულის პრევენციის ცენტრის პროგრამის — „ლიდერთა სახლის“ პროექტშიც იყო ჩართული, სადაც ტრენინგები გაიარა და შემდეგ თავადაც ატარებდა. აქტიურად თანამშრომლობდა ბავშვთა დაცვის ორგანიზაცია „დეა“-სთან. იმიტირებულ არჩევნებშიც იღებდა მონაწილეობას და თავადაც ატარებდა იმიტირებულ სასამართლო პროცესებს.

„ამ ორგანიზაციებთან მუშაობამ დიდი გამოცდილება შემმატა, რომელიც, დარწმუნებული ვარ, ცხოვრებაში გამომადგება, ამ კუთხით სტუდენტობის პერიოდშიც გავაგრძელებ აქტიურობას, თუმცა, ჩემი სამომავლო გეგმები ფიზიკის საფუძვლიან შესწავლასა და სამეცნიერო საქმიანობას უკავშირდება.

ფიზიკა საინტერესო საგანია იმ კუთხითაც, რომ ჩვენს დროში არ არსებობს სახელმწიფოს წინსვლა მეცნიერების განვითარების გარეშე. ზუსტი და საბუნებესმეტყველო მეცნიერებების განვითარება ქვეყნისთვისაც პრიორიტეტი უნდა იყოს. ამ კუთხით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს, ჩემი ინფორმაციით, დიდი რესურსი აქვს. ამიტომ, სურვილი მაქვს, რომ ამ შესაძლებლობით მაქსიმალურად ვისარგებლო“, — ასე ფიქრობს ნიკო თავის მომავალ პროფესიაზე და სამომავლო გეგმებზე.

ნიკო გვალიას ბიოგრაფია საინტერესოა იმითაც, რომ იგი აფხაზეთიდან დევნილი ოჯახიდან არის. მრავალშვილიან ოჯახში 7 და-ძმა იზრდება, მათ შორის ნიკო ყველაზე უფროსია. აფხაზეთიდან დევნილ ოჯახს ჯერ საკუთარი კერა არა აქვს, მაგრამ სირთულეების დაძლევაში ერთმანეთს ეხმარებიან. სწორედ მშობლების დამსახურებად თვლის ნიკო იმას, რომ „შორიდან“ ასე უყვარს აფხაზეთი და ოცნებობს იქ დაბრუნებაზე. სოფელ მუხურში გატარებულ ბედნიერ დღეებზეც მშობლების მონაყოლიდან იცის.

ნიკო გვალია

„მიუხედავად ბევრი წინააღმდეგობისა, ჩემი მშობლები ყველაფერს აკეთებენ, რომ შვილებმა კარგი განათლება მიიღონ. დიდი მადლიერებით მინდა გავიხსენო ჩემი პედაგოგები, როლებიც თავიანთი დამოკიდებულებით და საქმით ბევრს აკეთებენ მოსწავლეებისთვის. გარდა ამისა, ვამაყობ იმითაც, რომ მყავს საუკეთესო მეგობრები, რომლებიც მუდამ ჩემს გვერდით არიან. ჩვენ ხშირად ვიკრიბებით ერთად, ვსაუბრობთ საინტერესო თემებზე და აზრებს ვუზიარებთ ერთმანეთს“.

თავისუფალი დრო ნიკოს ნაკლებად აქვს და, ძირითადად, სამეცნიერო ფილმების ყურებით „ერთობა“. უსმენს „ძველმოდურ“ მუსიკას — მისი საყვარელი ანსამბლი The Beatles-ია... კითხვაც უყვარს, განსაკუთრებით ქართული ლიტერატურა... მისი საყვარელი მწერალი კონსტანტინე გამსახურდიაა, საყვარელი წიგნი — „დიდოსტატის მარჯვენა“.

აქტიური სტუდენტური ცხოვრებისთვის ნიკო სრულ მზადყოფნაშია. იცის, რომ ცოდნის გასაღრმავებლად მაქსიმალურად გამოიყენებს ამ წლებს. სურვილი აქვს, ჩაერთოს ყველა იმ აქტივობაში, რასაც ფაკულტეტი და ახალი ლექტორები შესთავაზებენ. ნიკო ამბობს, რომ მონაწილეობას მიიღებს სამეცნიერო კონფერენციებში, სხვადასხვა ღონისძიებებში და პროექტებში. ბაკალავრიატის დამთავრების შემდეგ, თუ საშუალება ექნება, საზღვარგარეთ გეგმავს სწავლის გაგრძელებას. არჩევანი ჯერ არ გაუკეთებია, მაგრამ ყველაზე მეტად დიდ ბრიტანეთში სწავლაზე ოცნებობს.

ნიკო უკვე საკმაოდ კარგად ფლობს უცხო ენებსაც — გერმანულსა და ინგლისურს. მისი აზრით, ეს მნიშვნელოვანია მეცნიერისთვის.

როგორც ვთქვით, ნიკო სკოლაში ყველა საგანს კარგად სწავლობდა. რაც უნდა გასაკვირი იყოს, მომავალ ფიზიკოსს ყველაზე მეტად მაინც ისტორია უყვარდა. „განსაკუთრებით მაინტერესებს საქართველოს ისტორია, რადგან, ჩემი აზრით, უკეთესი მომავლის შესაქმნელად ჯერ შენი ქვეყნის ისტორიას უნდა იცნობდე კარგად. სწორედ წარსულის გამოცდილება ეხმარება ადამიანებს — გააუმჯობესონ არსებული რეალობა“.

შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ სწორედ მეცნიერების დაუფლებითა და ისტორიის ცოდნის მიღებით შეეცდება ნიკო მომავალში ღირსეულად ემსახუროს თავის ქვეყანას.

შემოქმედებითობის გამოვლენისა და დაფინანსების შანსი სტუდენტებს

ნატო ობოლაძე

სტუდენტური პროექტების დაფინანსების მესამე ეტაპი დაიწყო. რეგისტრაცია 5 ოქტომბრამდე გაგრძელდება. სტუდენტებს 4 ტიპის პროექტების წარდგენის შესაძლებლობა აქვთ — სამეცნიერო, კულტურული, სპორტული და საგანმანათლებლო, რომლებსაც სტუდენტური პროექტების დაფინანსების საბჭო 20 ოქტომბრამდე განიხილავს. საბჭოს წევრები წარმოდგენილ პროექტებს საბჭოს მიერ შემუშავებული, მკაცრად განსაზღვრული კრიტერიუმების მიხედვით შეაფასებენ.

2018 წლის 29 იანვრიდან სტუდენტური პროექტების დაფინანსების განმსაზღვრელი საბჭოს ახალი შემადგენლობა დამტკიცდა, რომელსაც ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი თამარ გაგოშიძე ხელმძღვანელობს. თამარ გაგოშიძის განცხადებით, სტუდენტური პროექტების დაფინანსების ახალი წესის ამოქმედების შემდეგ სტუდენტები კვლევით პროცესებში უფრო აქტიურად ჩაერთნენ.

„ჩვენი კონკურსი ღიაა. ყველას, ვისაც აქვს სტუდენტის სტატუსი, შეუძლია პროექტის შემოტანა. სიახლე გვაქვს ის, რომ პროექტის რეცენზენტს, წარმდგენს, სტუდენტებისთვის რეკომენდაციის მიცემის გარდა, ევალება პროექტის შესრულების შესახებ დასკვნის დაწერაც. შესაბამისად, მისი პასუხისმგებლობა იზრდება. მას შემდეგ, რაც საბჭოს თავმჯდომარედ დავინიშნე, კონკურსის მე-3 ეტაპს ვატარებთ და უკვე შეინიშნება განვითარების საინტერესო დინამიკა. ჩვენ გავმართეთ სტუდენტებთან საინფორმაციო-საკონსულტაციო ხასიათის შეხვედრა და ზუსტი ინფორმაცია მივაწოდეთ — რას ვითხოვთ და რაზე უნდა გაამახვილონ ყურადღება ამა თუ იმ ტიპის პროექტის წარმოდგენისას. შედეგად სამეცნიერო ხასიათის პროექტების რაოდენობა მნიშვნელოვნად გაიზარდა. ძალიან საინტერესო კვლევებს აწარმოებენ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა, ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა, ასევე იურიდიული და მედიცინის ფაკულტეტების სტუდენტები. ყველა პროექტი შინაარსობრივად ღირებულია და გამოყენებითი ხასიათისაა. აქტიურობით გამოირჩევა თსუ-ის სტუდენტური თვითმმართველობა, რაც, ბუნებრივია, მისასალმებელია. ამავეს ვერ ვიტყვი სტუდენტურ ჯგუფებზე. აღსანიშნავია, რომ კვლევითი ხასიათის პროექტებში ჩართულები არიან სამივე საგანმანათლებლო საფეხურის სტუდენტები“, — განაცხადა თამარ გაგოშიძემ.

> სტუდენტური პროექტების ავტორთა რეგისტრაცია 5 ოქტომბრამდე გაგრძელდება. პროექტების დაფინანსების საკითხს საბჭო 20 ოქტომბრამდე განიხილავს.

თამარ გაგოშიძე

სტუდენტური პროექტების დაფინანსების განმსაზღვრელი საბჭოს თავმჯდომარის ინფორმაციით, გამარჯვებული პროექტების დაფინანსებით შეძენილი ტექნიკა თუ სხვა საჭირო ინვენტარი უნივერსიტეტის საკუთრებაში რჩება, რაც კონკურსს ერთგვარ შიდა ინვესტირების ფუნქციასაც სძენს.

მიმდინარე სემესტრის ბოლოს საბჭოს ორგანიზებით იგეგმება გამარჯვებული პროექტებიდან საუკეთესო შედეგების მქონე სტუდენტების დაჯილდოება.

| პერსონა |

უნდა შეხედო საკუთარ თავს, როგორც მოყვასს

თამარ ჯობავას პორტრეტი ინტერიერში

„თუ A წარმატებაა, მაშინ A = X + Y + Z; სადაც X არის შრომა, Y — თამაში, Z კი ენაზე კბილის დაჭერა“, — არავინ იცის, მართლა თქვა თუ არა ეს ფრაზა აინშტაინმა, მაგრამ თუ დიდი მეცნიერების საქმიანობასა და ქცევას დავაკვირდებით, სიმართლისგან ძალიან შორსაც არ უნდა იყოს — შრომა, მდუმარე და ფიქრიანი ყოფა და თამაში სამყაროს კანონზომიერებათა სიღრმეებში წვდომისთვის — ესაა იმ ადამიანების ცხოვრების არსი, რომელიც გარშემომყოფთათვის ხშირად შეუცნობელია. ისინი ჩვენს გვერდით დადიან, უჩინრად აკეთებენ დიდ საქმეებს და მერე, როცა ამ საქმეებზე ვეკითხებით — უხერხულობენ — ჩვენ მაღალნი იმიტომ ვჩანვართ, რომ წინამორბედთა მხრებზე ვდგავართო...

სწორედ ასეთი თავმდაბალი, დიდ სამეცნიერო საქმეებს შეჭიდებული და საკუთარ მიღწევებზე ძვირად მოლაპარაკე ადამიანი დადის დღეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ბევრმა შეიძლება არც იცოდეს, რომ ის მაღალი რეიტინგი, რომელიც უნივერსიტეტს საერთაშორისო სამეცნიერო ასპარეზზე აქვს, სხვა კოლეგებთან ერთად, მისი დამსახურებაცაა, ოღონდ ამაზე თავად არასოდეს ლაპარაკობს და მხოლოდ მაშინ ხდება ფართო საზოგადოებისთვის ცნობილი, როცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ჩატარებულ საერთაშორისო კონფერენციებზე უცხოელი მეცნიერები სიამაყით აღნიშნავენ ხოლმე, რომ ისინი მეგობრობენ თამარ ჯობავასთან — ქართველ ფიზიკოსთან, რომელიც წლებია ჩართულია არაერთ საერთაშორისო პროექტში, მათ შორის ბირთვული გამოკვლევების ევროპული ორგანიზაციის ექსპერიმენტებში.

თამარ ჯობავა

ფონენდოსკოპი, რომელიც პატრონის გარეშე დარჩა

„დავამთავრე თბილისის №55 საშუალო სკოლა. ეს სკოლა გამორჩეული გახლდათ თავისი აკადემიური მიღწევებით და ერთ-ერთი პირველი იყო, სადაც ინგლისური ენა გაძლიერებით, მეორე კლასიდან, ისწავლებოდა. ცოტა რომ წამოვიზარდე, გადავწყვიტე, სწავლა კომაროვის სახელობის სკოლაში გამეგრძელებინა, მაგრამ მერვე კლასის შემდეგ ჩვენს სკოლაშიც შეიქმნა მათემატიკური ჯგუფები, რომელშიც კომაროვის ადეკვატური სასწავლო პროგრამით გვასწავლიდნენ და პედაგოგებიც კომაროვის სკოლიდან გვყავდა. ამდენად, გადასვლა აღარ მიფიქრია — დავრჩი. საკმაოდ კარგი კლასი გვქონდა მაგალითად, ჩემი კლასელი იყო კახა ბენდუქიძე,“ — იხსენებს ქალბატონი თამარი.

სკოლა მედალზე დაამთავრა და რადგან იმ პერიოდში მედალოსნებისთვის ყველაზე პოპულარული ფაკულტეტი და ინსტიტუტი სამედიცინო იყო, ოჯახსაც აქეთ მიუწევდა გული — უნდოდათ შვილი ექიმი გამხდარიყო, მაგრამ იქ ჩაბარება არც უფიქრია, ექიმის პროფესია ძალიან რთულია და დიდი პასუხისმგებლობაა, „ემოციური ადამიანი ვარ და ვიცოდი, რომ მედიცინა ჩემი არ იყოო“, — ასე „ამართლებს“ ახლა საკუთარ გადაწყვეტილებას, რეალურად კი ფიზიკა იყო მისი ინტერესის სფერო, რისთვისაც ბევრი საყვედურიც მოისმინა — „რა მედალს აფუჭებო“...

როდის გაჩნდა ფიზიკა თამარ ჯობავას ინტერესის არეალში, არ ახსოვს — იცის მხოლოდ, რომ ფიზიკოსი ბიძის მიერ შექმნილი გარემოცვის გამო, მისი აზრი და მიზანი სხვა მიმართულებით არც წასულა: „ცნობილი ფიზიკოსები ჩემთვის ნაცნობები და ახლობლები იყვნენ. მაგალითად, გივი ხუციშვილი, რომელიც ძალიან ცნობილი მეცნიერია, ჩემთვის გივი ბიძია და ბიძაჩემის მეგობარი იყო. ვიცნობდი ასევე საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქვეყნიდან ჩამოსულ ფიზიკოსებსაც. ბიძაჩემი მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლობდა, შემდეგ სასწავლებლად გადავიდა მოსკოვის საინჟინრო ფიზიკის ინსტიტუტში, რომელიც დიდი წარმატებით დაამთავრა. მისი კურსელები იყვნენ ნობელის პრემიის ლაურეატები (მაგ. ლაზერების შემქმნელი ნიკოლოზ ბასოვი). ბედნიერი ვარ, რომ საკმარისად საინტერესო ადამიანებთან მომიწია ურთიერთობა და უფალს მადლობას ვწირავ ამისთვის“, — ამბობს ქალბატონი თამარი, რომელმაც სკოლის დასრულების შემდეგ სანუკვარ ფიზიკის ფაკულტეტს მიაშურა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში და ამით ახლაც ბედნიერია.

332-ე ჯგუფში დაწყებული მეგობრობა

„უნივერსიტეტში მოსვლის პირველივე დღიდან, პირველივე წუთიდან შესანიშნავი გარემო დამხვდა. მაშინ ფიზიკის ფაკულტეტი ძალიან დიდი იყო: კურსზე, დაახლოებით, 200 კაცამდე ვიყავით, შემდეგ დაგვყვეს და ისეთ ჯგუფში აღმოვჩნდი, რომ ძალიან კარგი მეგობრები შევიძინე. იმ პერიოდში მათემატიკური ანალიზის კურსს პროფესორი ელიზბარ წითლანაძე კითხულობდა, რომელიც ძალიან ცნობილი პედაგოგი იყო. მან განათლება საფრანგეთში მიიღო და საოცარი ლექციები ჰქონდა — რომ დაიწყებდა ფიზიკის აუდიტორიის დიდ დაფებზე მარცხენა კუთხიდან წერას, ისე გაავსებდა, დახატული გეგონებოდა. სემინარებს ატარებდა დოცენტი არჩილ სულაქველიძე, რომელიც ძალიან გვიყვარდა — ისეთი შესანიშნავი პიროვნება იყო, რომ ყველას გვინდოდა მის ჯგუფში მოხვედრა. ჩვენი ჯგუფი 322-ე იყო. შემთხვევით მოხდა თუ გამიზნულად, არ ვიცი, მაგრამ საკმაოდ კარგი სტუდენტები მოხვდნენ ერთ ჯგუფში, ვმეგობრობდით ერთმანეთთანაც და ბატონ არჩილთანაც. ამ ჯგუფში ძალიან კარგად მიდიოდა საქმე. ერთად ვმეცადინობდით, ერთად დავდიოდით ექსკურსიებზე, ერთხელ საგაზეთო პუბლიკაციაც კი დაიწერა ჩვენი ჯგუფის შესახებ. ჩემი ჯგუფელები იყვნენ: თეიმურაზ ნადარეიშვილი, რომელიც ჩემი უახლოესი მეგობარი იყო პირველივე კურსიდან; ზურა მენთეშაშვილი, რომელთანაც რაღაც პერიოდი ერთ ინსტიტუტში ვმუშაობდით, ლევან ფალავანდიშვილი, გიორგი ლოლაძე, ქეთევან და თამარ კიკნაძეები, ნათელა ჩაჩავა, ნინო ოქროპირიძე, მაია გრიგოლავა. ჩვენი მეგობრობა ახლაც გრძელდება“, — ამბობს ქალბატონი თამარი და იხსენებს, რომ მის სახლში ხშირად იკრიბებოდნენ ჯგუფელები და სტუდენტური წლების სიხარულს ერთად იზიარებდნენ.

დუბნის ბირთვული კვლევების გაერთიანებული ინსტიტუტიდან CERN-ამდე

მომავალ სპეციალობად მაღალი ენერგიების ბირთვული ფიზიკა აირჩია და უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ ამავე განხრის კათედრაზე დაიწყო მუშაობა, რაც საბოლოოდ მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტის საბაზისო კათედრა აღმოჩნდა. 1979 წლიდან ეს ინსტიტუტი ოფიციალურად გაიხსნა და თამარ ჯობავაც მისი თანამშრომელი გახდა. აქედან იწყება მისი, როგორც მეცნიერის გზა, რომელმაც არაერთხელ მოუტანა აღიარება. „მიუხედავად იმისა, რომ რეკომენდაცია მქონდა ასპირანტურაში ჩაბარებისა, ისე მოხდა, რომ პირდაპირ ჩავები კვლევით საქმიანობაში. ჩემი სამუშაო თემატიკა და პროფილი მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტთან იყო დაკავშირებული. მაშინ ჩვენთვის საბაზისო ორგანიზაცია იყო მოსკოვის ოლქში მდებარე ქალაქ დუბნის ბირთვული კვლევების გაერთიანებული ინსტიტუტი, რომელიც ახლაც არსებობს. ეს იყო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების გაერთიანება, რომელიც შეიქმნა 1956 წელს. მე ამ ინსტიტუტის მაღალი ენერგიების ფიზიკის ლაბორატორიის ერთ-ერთ ექსპერიმენტში ჩავერთე. ჩემი ხელმძღვანელი გახლდათ ცნობილი მეცნიერი ლიდა ჩხაიძე. ამ ექსპერიმენტში ხდებოდა რელატივისტურ ენერგიებამდე აჩქარებული ბირთვების შეჯახების შედეგად წარმოქმნილი ურთიერთქმედებების შესწავლა. ეს საკმაოდ კარგი კოლაბორაცია იყო, რომელშიც შედიოდა რამდენიმე ინსტიტუტი აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებიდან: პოლონეთიდან, რუმინეთიდან, ბულგარეთიდან, საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ინსტიტუტიდან. ექსპერიმენტში ძალიან კარგი ფიზიკოსები იყვნენ ჩართულნი და ეს ჩემთვის დიდი სკოლა იყო თავისი მიმართულებით, გამოკვლევების სირთულითა და საინტერესო შედეგებით“, — ასე აღწერს დიდ მეცნიერებაში გადადგმულ პირველ ნაბიჯებს ქალბატონი თამარი და მადლიერებით იხსენებს იმ წლებს, რადგან პროფესიონალებთან ურთიერთობამ ბევრი რამ მისცა, როგორც მეცნიერს.

სწორედ დუბნის ექსპერიმენტის შედეგებზე დაყრდნობით დაიცვა დისერტაციებიც — 1989 წელს საკანდიდატო, ხოლო 2004 წელს სადოქტორო. ამავე წლების გამოცდილებამ მოამზადა იგი შემდგომი სამეცნიერო წარმატებებისთვის, რომელიც უკვე ბირთვული გამოკვლევების ევროპული ორგანიზაციის მიმდინარე ATLAS-ექსპერიმენტმა მოუტანა.

ATLAS-ექსპერიმენტი და CERN-ის ქართველი „შემოქმედები“

1994 წელს დაიწყო ბირთვული გამოკვლევების ევროპულ ორგანიზაციასთან (CERN) ურთიერთობა. მაშინ თსუ-ის მაღალი ენერგიების ფიზიკის ინსტიტუტში და საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტში (რომელიც დღეს უკვე თსუ-ის შემადგენლობაშია) ერთდროულად მოვიდა ინფორმაცია, რომ შეეძლოთ ჩართულიყვნენ ცერნის მშენებარე დიდი ადრონული ამაჩქარებლის მომავალ ATLAS-ექსპერიმენტში. „ეს ისეთი წლებია საქართველოში, როცა სამეცნიერო ექსპერიმენტი კი არა, შუქი, წყალი და პურიც კი დეფიციტი იყო და, წარმოიდგინეთ, ამ დროს, იბადება იდეა, რომ ითანამშრომლო მსოფლიოს ერთ-ერთ წამყვან სამეცნიერო ცენტრთან ნაწილაკების ფიზიკის მიმართულებით. არ ვიცი, მგონი მაშინ არც გვესმოდა, რას ვიწყებდით. ასეთ დროს ან ამ საქმეზე ფანატიკურად შეყვარებული უნდა იყო, ან, უბრალოდ, ვერ უნდა აზროვნებდე. ჩვენ ფანატიკოსები აღმოვჩნდით და ლეილა ჩიქოვანი, ლეილა გაბუნია, მაია მოსიძე და მე, პირველივე წლებიდან, როცა ჯერ მხოლოდ კოლაბორაციები იქმნებოდა და ATLAS-ექსპერიმენტის თანამშრომლობა ის-ის იყო ფეხს იდგამდა, მოვლენების ცენტრში აღმოვჩნდით“, — ამბობს ქალბატონი თამარი.

ადვილად კი გვიყვება, მაგრამ ასე იოლიც არ იყო ამ ექსპერიმენტებში თავის დამკვიდრება. პირველი სატესტო დავალება ჯგუფს 1995 წელს მისცეს. მათ სხვადასხვა გენერატორის საშუალებით უნდა გაეკეთებინათ მოდელირება იმ პროცესისა, სადაც იბადება ჰიგსის ნაწილაკი და უნდა შეეფასებინათ, შეიძლებოდა თუ არა ამ ნაწილაკის აღმოჩენა ამ დანადგარით. დანადგარის მახასიათებლები ჯერ დაზუსტებული არ იყო, მაგრამ, იმ დროისთვის არსებული ტექნიკური მონაცემების საფუძველზე, არსებობდა მოდელირების პროგრამები და უნდა ენახათ — დაიჭერდა თუ არა ეს დანადგარი ამ პროცესს.

ჯგუფმა წარმოუდგენელ პირობებში შეასრულა დავალება — არც კომპიუტერები, არც ელექტროენერგია, არც ის პროგრამები, რომლითაც უნდა ემუშავათ.... მიუხედავად ამისა, დიდი აზარტით, ინტერესით და საქმისადმი ფანატიკური სიყვარულით შეძლეს დავალების იმ დონეზე შესრულება, რომ პარალელურად (კარგ პირობებში) მომუშავე ჯგუფებთან შედარებით უკეთესი შედეგები მიიღეს. „გავაკეთეთ ეს სატესტო დავალება და გავაგზავნეთ შედეგები. ჩვენი ნამუშევარი ისე მოეწონათ, რომ დაინტერესდნენ და მოინდომეს გაცნობა. აქ აღმოვჩნდით მეტად სასაცილო მდგომარეობაში: 1995 წლის ივლისში ქ. დუბნაში ბირთვული გამოკვლევების გაერთიანებულ ინსტიტუტში გაიმართა საერთაშორისო ვორქშოპი, რომელიც დიდ ადრონულ ამაჩქარებელზე განსაზღვრული ექსპერიმენტების განხილვას მიეძღვნა. მათ შორის იყო ATLAS-ექსპერიმენტის საკითხებიც. ამ ვორქშოპის მუშაობაში მონაწილეობას იღებდა ATLAS-ექსპერიმენტის ფიზიკური პროგრამის კოორდინატორი პროფ. დანიელ ფროდევუ (Daniel Froidevaux). სწორედ ამ ვორქშოპზე მიგვიწვიეს, რადგან ექსპერიმენტის ხელმძღვანელებს სურდათ ჩვენი გაცნობა. წასვლა ძნელი იყო, მაგრამ რაღაცნაირად გამოვნახეთ სახსრები და ჩვენი ხარჯით წავედით კონფერენციაზე, დავესწარით სხდომებს, შევხვდით პროფ. დანიელ ფროდევუს და პროფ. პიტერ იენს, რომელიც მაშინ ATLAS-ექსპერიმენტის ხელმძღვანელი იყო და წამოვედით... საღამოს ბანკეტზე თურმე გვეძებდნენ... ჩვენ კი ბანკეტის კი არა, სასტუმროს ფულიც არ გვქონდა და ღამეს მეგობრების ბინაში ვათევდით, მაგრამ ამას ხომ ვერ ვიტყოდით... ასე დაიწყო ჩვენი ურთიერთობა“, — იხსენებს ქალბატონი თამარი.

გვ. 14

ᲐᲜᲝᲜᲡᲘ

„ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲘᲜᲝᲕᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ – 2018“

„მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი — 2018“ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის 100 წლის იუბილეს ეძღვნება. ფესტივალის გახსნის საზეიმო ღონისძიება თსუ-ის პირველ კორპუსში 22 სექტემბერს გაიმართება. დაგეგმილია საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციები, სემინარები, სამეცნიერო ნაშრომების პრეზენტაციები, საჯარო ლექციები, გამოფენები... ფესტივალის მიზანია — სამეცნიერო კვლევებისა და ინოვაციების პოპულარიზაცია, სკოლის მოსწავლეებისა და სტუდენტების დაინტერესება სამეცნიერო კვლევებითა და ინოვაციებით, ქვეყნის სამეცნიერო და ინოვაციური პოტენციალის წარმოჩენა, ქართველ და უცხოელ მკვლევართა მიღწევების გაცნობა ფართო საზოგადოებისათვის, საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება, მკვლევართა მოტივაციის ზრდა და განათლების, მეცნიერებისა და კულტურის დაახლოება.

საქართველოში 2015 წელს მეცნიერებისა და ინოვაციების საერთაშორისო კვირეულით მასშტაბურად და საყოველთაოდ პირველად აღინიშნა მეცნიერებისა და სტუდენტების საერთაშორისო დღეები, ხოლო 2016 წლიდან საფუძველი ჩაეყარა მნიშვნელოვან ტრადიციას — მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალს.

„მეცნიერებისა და ინოვაციების ფესტივალი — 2018“ 30 სექტემბერს დასრულდება.

ᲘᲣᲚᲘᲮᲘᲡ ᲙᲕᲚᲔᲕᲘᲗᲘ ᲪᲔᲜᲢᲠᲘᲡ ᲚᲐᲑᲝᲠᲐᲢᲝᲠᲘᲐ ᲗᲡᲣ-ᲨᲘ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲔᲑᲐ

ᲜᲐᲢᲝ ᲝᲑᲝᲚᲐᲫᲔ

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იულიხის კვლევითი ცენტრის ნეიროსამედიცინო კვლევების ლაბორატორია გაიხსნება. ამის შესახებ ცნობილი გახდა საქართველოს პრემიერ-მინისტრის მამუკა ბახტაძის, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიხეილ ბატიაშვილის, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის გიორგი შარვაშიძისა და იულიხის კვლევითი ცენტრის წარმომადგენლების შეხვედრის შემდეგ. მხარეებმა ისაუბრეს საქართველოში განათლების რეფორმის პროცესში იულიხის პროფესორების ჩართვის შესაძლებლობებზე.

„ამ გადაწყვეტილების მიღების საფუძველი გახდა თსუ-ში შესაბამისი კლინიკური ბაზების (სადაც ფუნქციონირებს ნევროლოგიისა და ნეიროქირურგიის კათედრა), ასევე, ფუნდამენტური ლაბორატორიების (სადაც მიმდინარეობს ტრანსლაციური კვლევები) მზაობა და აქ თავმოყრილი დიდი ინტელექტუალური პოტენციალი. აღნიშნული კათედრის მუშაობას პეტრე სარაჯიშვილის სახელობის ნევროლოგიის ინსტიტუტსა და საუნივერსიტეტო კლინიკა „პინეო“-ში ხელმძღვანელობენ აკადემიკოსი რომან შაქარიშვილი და პროფესორი ალექსანდრე ცისკარიძე. მორფოლოგიის ინსტიტუტის შენობაში ფუნქციონირებას იწყებს ექსპერიმენტული ნევროლოგიის ლაბორატორია ლუნდის უნივერსიტეტის (შვედეთი) ღეროვანი უჯრედების კვლევის ცენტრთან მჭიდრო თანამშრომლობით. შესაბამისად, თსუ-ში არსებობს ნეიროსამეცნიერო კვლევებისათვის კარგი ფუნდამენტი.

იულიხის კვლევითი ცენტრის ნეიროსამედიცინო კვლევების ლაბორატორიის გახსნა გულისხმობს კვლევებს მრავალმილიონიანი დანადგარის გამოყენებით, რომელიც წარმოადგენს მაგნიტურ-რეზონანსული ტომოგრაფიისა და ე.წ. PET-CT ტომოგრაფიის კომბინაციას. პირველ ეტაპად დაგეგმილია ერთობლივი კვლევითი პროექტების შემუშავება, რის გეგმასაც ახლა ვადგენთ“, — განაცხადა თსუ-ის მედიცინის ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა დიმიტრი კორძაიამ.

იულიხის კვლევითი ცენტრის წარმომადგენლებთან შეხვედრა 21 აგვისტოს გაიმართა.

ᲣᲜᲓᲐ ᲨᲔᲮᲔᲓᲝ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲗᲐᲕᲡ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲛᲝᲧᲕᲐᲡᲡ

ᲗᲐᲛᲐᲠ ᲯᲝᲑᲐᲕᲐᲡ ᲞᲝᲠᲢᲠᲔᲢᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲘᲔᲠᲨᲘ

მე-13 გვ-დან

შემდეგ იყო სხვა, უფრო რთული დავალებები. შედეგად — ქართული ჯგუფის წევრები 1995 წლის სექტემბრიდან ATLAS-ის ნამდვილი წევრები გახდნენ. დღეს მათი სამეცნიერო სტატიები იბეჭდება მაღალრეიტინგულ სამეცნიერო ჟურნალებში და საქართველოში (და, შეიძლება ითქვას, კავკასიაშიც) ყველაზე მაღალ ციტირების ინდექსს ფლობენ. თავად მეცნიერი ამას საკუთარ დამსახურებად არ მიიჩნევს. ამბობს, რომ ეს მხოლოდ იმ ექსპერიმენტების და მათში ჩართული მეცნიერების დამსახურებაა. „ჩემთვის საამაყო და სასიხარულოა ეს მონაცემები, მაგრამ ასეთი ინდექსის მატარებელი მარტო მე არ ვარ — ვინც იმ წლებიდან ATLAS-ექსპერიმენტშია ჩართული, ყველა ასეა: ირაკლი მინაშვილი, ჯემალ ხუბუა, მაია მოსიძე, ვახტანგ ქართველიშვილი, გივი სეხნიაიძე, ედიშერ ცხადაძე, და კიდევ სხვები, ძალიან მაღალ ციტირების ინდექსს ფლობენ. თუმცა, მეც მაქვს ერთი ნაშრომი, რომლითაც ნამდვილად ვამაყობ. ის შრომა (ლეილა ჩიქოვანთან და უცხოელ მეცნიერთა ჯგუფთან ერთად) შეეხებოდა ტოპ კვარკის იშვიათი დაშლების შესწავლას. ნაშრომი მაღალრეიტინგულ ჟურნალში დაიბეჭდა (European Physical Journal)“, — გვიყვება ქალბატონი თამარი.

ამ ერთგვარ „არაპოპულარობის ხიბლს“ თამარ ჯობავას სამეცნიერო ბიოგრაფია არ შეეფერება. ის აქტიური მონაწილეა ATLAS-ექსპერიმენტისა, ფლობს რამდენიმე სამეცნიერო გრანტს, მათ შორის შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდიდან, საერთაშორისო სამეცნიერო ტექნოლოგიური ცენტრიდან, საერთაშორისო სამეცნიერო ფონდიდან და სხვა. მინიჭებული აქვს ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პ. მელიქიშვილის სახელობის სამეცნიერო პრემია ნაშრომთა ციკლისთვის „მაღალ ენერგიებზე ბირთვ-ბირთვულ ურთიერთქმედებებში კოლექტიური გამოდინების ეფექტების ექსპერიმენტული შესწავლა“. დაჯილდოებულია თსუ-ის მედლით „ხანგრძლივი ნაყოფიერი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობისა და ინსტიტუტის ინტერნაციონალიზაციაში შეტანილი წვლილისთვის“. ავტორია 837 სამეცნიერო სტატიისა, არის 2 დოქტორანტის და 1 მაგისტრანტის ხელმძღვანელი, პარალელურად აქტიურად მონაწილეობს თსუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს და სადისერტაციო საბჭოს მუშაობაში... ერთი ადამიანისთვის წარმოუდგენელი საქმიანობაა, მაგრამ ამისთვის საქმისადმი ისეთი ფანატიკური დამოკიდებულებაა საჭირო, როგორიც ქალბატონ თამარს აქვს.

ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ

უნივერსიტეტი თამარ ჯობავასთვის ის ადგილია, რომლის გარეშეც შეგნებული ცხოვრების არცერთი ეტაპი არ უცხოვრია. მასთან ერთად გამოიარა უამრავი ქარტეხილი და დღესაც მასთან ერთად მიაბიჯებს მეცნიერების დიდ გზაზე. როგორც ყველა დიდი პედაგოგი, ისიც ფიქრობს, რომ შესანიშნავი თაობა მოდის: „ნიჭიერი ახალგაზრდობა გვყავს, სხარტი, გონებაგახსნილი, თავისუფალი. ეს თაობა არ არის დათრგუნული იმ კომპლექსებით, რაც ჩვენ გვქონდა და ეს ძალიან დიდი მონაპოვარია. ჩვენი სტუდენტები არცერთი სხვა ქვეყნის სტუდენტზე ნაკლები არ არიან, უკეთესები თუ არა. ამას ამჩნევენ უცხოეთში და პირდაპირ „ნადირობენ მათზე“, — სიამაყით აღნიშნავს იგი და დასძენს, რომ ეს ახალგაზრდები ნელ-ნელა საზღვარგარეთ გარბიან, რადგან უკეთეს პირობებში ურჩევნიათ სწავლა. ამიტომ პროფესურას მეტი მოთმინება და დაკვირვება მართებს. ხელშეწყობის პირობებში კი ისინი წავლენ, ისწავლიან და დაბრუნდებიან, რომ საკუთარ ქვეყანას გამოადგნენ.

ᲒᲖᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲤᲘᲖᲘᲙᲐᲖᲔᲪ ᲓᲘᲓᲘᲐ

თუ შეცვლიდა ცხოვრების არჩევანს? „დიახ, — ამბობს და უცნაური სინათლე უდგება თვალში — მონასტერში წავიდოდი“. მეცნიერისგან ამგვარ პასუხს ცოტა თუ ელოდება, ქალბატონი თამარისთვის კი ეს გაცნობიერებული პასუხია: „სახარებაზე და ბიბლიაზე ჭკვიანი წიგნი არ შექმნილა. ან კი როგორ შექმნის ადამიანი იმაზე მეტს, რაც ღვთისგან არის შექმნილი? ყველა დიდი მეცნიერი მორწმუნე იყო, აინშტაინიც, მათ შორის“, — ამბობს და გვიხსნის, რომ ამ კანონებს და მეცნიერულ ცოდნას უფალი იმ დროს გვიჩენს, როცა ამისთვის კაცობრიობა არის მზად.

თამარ ჯობავას ფიზიკის გარდა სხვა ინტერესებიც აქვს — უყვარს ხელოვნება და მუსიკა, აინტერესებს ღმრთისმეტყველების სხვადასხვა საკითხები. ასწრებს ყველაფერს — მათ შორის იმასაც, რომ იყოს საუკეთესო მეგობარი და გამორჩეულად გულისხმიერი პედაგოგი. მისი სიკეთე და ყურადღებიანობა ხაზგასმით გამოკვეთეს მისმა დოქტორანტებმა არჩილ დურგლიშვილმა და თამარ ზაქარეიშვილმა, მეგობრებმა კი ის ამოუწურავი ენერგიის მქონე ადამიანად დაახასიათეს.

თემურ ნადარეიშვილისთვის „თამრიკო“ ყველაზე პრინციპული, ყველაზე ერთგული, ყველაზე სანდო დასაყრდენი და ცოტა „მაჩხუბარაა“. თურმე სტუდენტობის დროს მის ბინაში შეკრებილი მეგობრები ქალბატონ თამარს ვინმეზე „ჭორს“ ვერ გააგონებდნენ და მხოლოდ მაშინ „ეშმაკობდნენ“, როცა იგი ოთახში არ იყო.

ქალბატონ მაია მოსიძისთვის კი თამარი კეთილშობილებით გამორჩეული კოლეგაა, რომლის გარეშეც, წლებია, არ უცხოვრია: „მას შეუძლია უამრავი ენერგია გასცეს, შეუძლია საკუთარი საქმე გადადოს და ყველასთვის იყოს შეუდარებელი მეგობარი, კოლეგა, ხელმძღვანელი, უბრალოდ ადამიანი, რომელსაც ყველა საქმეში დაეყრდნობი“.

როგორ გამოსდის ეს ყველაფერი ერთად? არავინ იცის — უბრალოდ, ასეთად უნდა დაიბადო და მერე, როგორც თავად ამბობს, „უნდა შეხედო საკუთარ თავს, როგორც მოყვასს“.

| ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ |

ᲗᲡᲣ-ᲘᲡ ᲤᲣᲢᲡᲐᲚᲘᲡ ᲒᲣᲜᲓᲘ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲖᲔ

ᲜᲐᲢᲝ ᲝᲑᲝᲚᲐᲫᲔ

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფუტსალის გუნდმა წელს კვლავ მოახერხა საქართველოს სტუდენტური ლიგის მოგება და ევროსარბიელზე ასპარეზობის უფლება მოიპოვა. ამჯერად, ფუტსალის ჩემპიონატს, რომელიც 19-29 ივლისის განმავლობაში მიმდინარეობდა, პორტუგალიის ქალაქმა კოიმბრამ უმასპინძლა. გასულ წელს თსუ-ის გუნდმა ამ ჩემპიონატზე ვერცხლის მედლების მოპოვება შეძლო. შესაბამისად, კოიმბრაში თსუ-ის სტუდენტები ვიცე ჩემპიონის სტატუსით ჩავიდნენ. თსუ-ის გუნდმა ამჯერადაც შეძლო ნახევარფინალამდე გასვლა და გზად არაერთი ძლიერი მეტოქე დაამარცხა. თსუ ასპარეზობას ნახევარფინალში გამოეთიშა ტურნირის ერთ-ერთ ფავორიტ პორტუგალიური მალმიოს უნივერსიტეტის გუნდთან შეხვედრის შემდეგ. საერთო ჯამში ორი წლის მანძილზე თსუ-ის გუნდმა 2-ჯერ მოახერხა ევროპის მასშტაბით ოთხეულში მოხვედრა.

„ფუტსალი საქართველოში არც ისე ახალი სპორტის სახეობაა. მან ფეხის მოკიდება ქართულ სპორტულ სივრცეში 90-იანი წლების დასაწყისიდან დაიწყო, მაგრამ განსაკუთრებით პოპულარული სულ რამოდენიმე წლის წინ გახდა. შესაბამისად, სტუდენტებს შორისაც დიდი პოპულარობით სარგებლობს. თსუ-ში სპორტის ამ სახეობამ ჩამოყალიბება და განვითარება 12 წლის წინ დაიწყო. ამჟამად უნივერსიტეტს ჰყავს ძლიერი გუნდი, რომელიც დაკომპლექტებულია მთლიანად უნივერსიტეტის სტუდენტებისგან, ხოლო გუნდის მწვრთნელი გახლავთ დავით ბობოხიძე. გუნდი სრულად ფინანსდება უნივერსიტეტის მხრიდან და იგი მომზადებას გადის სპორტულ კომპლექს „არენაზე“, — განაცხადა თსუ-ის კულტურისა და სპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა ირაკლი ხარჯავანიძემ.

ევროპის სტუდენტური თამაშები ყოველ წელს იმართება ევროპის საუნივერსიტეტო სპორტის ასოციაციის (EUSA) მიერ. ამ დროისთვის თსუ-ის გუნდი ახალი სეზონისთვის იწყებს მზადებას.

| ᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ |

ᲒᲣᲠᲐᲛ ᲗᲔᲕᲖᲐᲫᲘᲡ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲖᲠᲘᲡᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲑᲣᲗᲔᲑᲐ

„თსუ-ში სულ თითზე ჩამოსათვლელი ადამიანები იყვნენ, ვინც საბჭოთა დროში ფილოსოფიას გვასწავლიდნენ იმ ღირსებითა და ღირებულებით, როგორც „სიბრძნის სიყვარულს“ შეეფერება. მათ შორის იყო ბატონი გურამ თევზაძე. რა სამწუხაროა, რომ ის გარდაიცვალა... ისეთი განცდა მაქვს, რომ ჭეშმარიტი სწავლულობისა და ინტელიგენტობის ბოლო წარმომადგენელმა გაიხურა კარი!

გმადლობთ, ბატონო გურამ, მთელი თქვენი სამაგალითო ბიოგრაფიისთვის!“ — ასე ეხმაურებიან საქართველოში აღიარებული ფილოსოფოს-მეცნიერის გურამ თევზაძის გარდაცვალების ფაქტს მისი ყოფილი მოწაფეები...

თანამედროვე ქართული ფილოსოფიური სკოლის შექმნა და განვითარება სწორედ მის სახელს უკავშირდება. როგორც მისი თანამედროვენი აღნიშნავენ, აღიარებულმა ფილოსოფოსმა უდიდესი წვლილი შეიტანა ახალი თაობის მეცნიერების აღზრდაში. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ემერიტუსი გურამ თევზაძე 2005 წლამდე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ისტორიის კათედრის გამგედ მუშაობდა.

„ფილოსოფოსი არის ადამიანი, რომელიც ცხოვრების საზრისის დასაბუთებას ეძიებს...“, — ამბობდა იგი ერთ-ერთ ინტერვიუში. სწორედ ამ ძიებაში გაატარა მან თავისი ცხოვრება და მდიდარი მემკვიდრეობა დატოვა სახელმძღვანელოების, მონოგრაფიებისა და თარგმანების სახით. პროფესორი გურამ თევზაძე ავტორია 218 ნაშრომის, მათ შორისაა: „ანტიკური ფილოსოფია“, „შუა საუკუნეების ფილოსოფია“, „აღორძინების ეპოქის ფილოსოფია“, „ახალი ფილოსოფიის ისტორია“, „XX საუკუნის ფილოსოფიის ისტორია“, „იმანუელ კანტი“, „გერმანული ნეოკანტიანელობის შემეცნების თეორია“, „ნიკოლაი ჰარტმანის ონტოლოგიის კრიტიკა“, „ვალენტინ ვაიგელი“, „თეოფრასტე პარაცელსი“ და სხვ.

გურამ თევზაძის სახელს უკავშირდება კანტის, ჰაიდეგერისა და ჰარტმანის ფილოსოფიური ნაშრომების ქართულად თარგმნა და ფუნდამენტური კვლევა; ქართველ ფილოსოფოსთა — პეტრე იბერი, იოანე პეტრიწი, სოლომონ დოდაშვილი და ა.შ. — კვლევა და გამოცემა. მან, ასევე, დიდი წვლილი შეიტანა ფილოსოფიის ისტორიის ისეთი კურსების მომზადებასა და გამოცემაში, როგორიცაა შუა საუკუნეებისა და მე-20 საუკუნის ფილოსოფია.

ასევე, გამოსცა რეპრესირებული ფილოსოფოსების — მოსე გოგიბერიძის ოთხტომეული და სავლე წერეთლის გამოუქვეყნებელი ნაშრომები.

მეცნიერი 86 წლის ასაკში გარდაიცვალა. მის დამსახურებაზე ფილოსოფოსი ზაზა ფირალიშვილი და ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მიხეილ მახარაძე საუბრობენ.

„ვიცოდი, რომ ბატონ გურამ თევზაძეს დიდი დღე აღარ ეწერა. თითქოს მზადაც ვიყავი მისი გარდაცვალების ამბის გასაგებად — და მაინც გული მეტკინა ისე, როგორც ახლობელი ადამიანის გარდაცვალებამ შეიძლება გატკინოს. თუკი ჯავახიშვილის უნივერსიტეტს ოდესმე ევროპული ყაიდისა და რანგის პროფესორი ჰყოლია, ერთი მათგანი, უთუოდ, იგი გახლდათ — და ეს მაშინ, როდესაც იმ ეპოქაში იდეოლოგიური საზღვრების გამო ფილოსოფოსობა ლამის ყველაზე იოლ საქმედ შეიძლება ჩათვლილიყო. არ ჩამოვთვლი — რა გააკეთა პირადად ჩემთვის, როდესაც ასპირანტურაში ჩემი ხელმძღვანელი და ჩემი სადოქტოროს კონსულტანტი იყო. მისი წყალობით გავიაზრე სრულიად ახალგაზრდამ — თუ რა დიდი და ძნელი საქმე იყო ფილოსოფია და რა მძიმე, თუმცა კი უხილავ პასუხისმგებლობას გაკისრებს ფილოსოფოსობა. დიდ სკოლას მაზიარა და მუდამ ისე მეგულებოდა, როგორც ახლობელი და მზრუნველი ადამიანი შეიძლება გეგულებოდეს. ვიცი, ასე იყვნენ მისი სხვა მოწაფეებიც. ერთი იმათთგანი იყო, ვისი გარდაცვალებაც დიდხანს გიტოვებს ტკივილიანი სიცარიელის განცდას. ისე მოხდა, რომ წესიერად ერთხელაც ვერ გამოვხატე მის მიმართ მადლიერება. ნათელში იყოს“, — ასე იხსენებს მეცნიერს ზაზა ფირალიშვილი.

გურამ თევზაძის ყოფილი სტუდენტი მიხეილ მახარაძე მასწავლებელს თავის მოგონებაში „მრისხანე“ პროფესორს უწოდებს, რომელიც, მისი თქმით, ქართველ ფილოსოფოსთა გამორჩეული თაობის უკანასკნელი წარმომადგენელი იყო.

* * *



„გურამ თევზაძეზე, როგორც გამორჩეულ ფილოსოფოსზე და მის ნაშრომებზე არაერთხელ დამიწერია. ახლაც დიდი პატივისცემით და მადლიერების გრძნობით გავიხსენებ დიდ მეცნიერს.

ბატონი გურამი საშუალოზე მაღალი ტანის, გამხდარი, ბეჭებში ოდნავ მოხრილი კაცი იყო, სათვალეებს ატარებდა და მუდამ აჩქარებული ნაბიჯით დადიოდა. იგი სტუდენტებში ერთ-ერთ ყველაზე მკაცრ გამომცდელად იყო ცნობილი. ამბობდნენ, რომ სწორედ ბატონ გურამთან გამოცდის ჩაბარება-ვერჩაბარებაზე იყო დამოკიდებული — დაამთავრებდი თუ არა უნივერსიტეტს. ასე ჩამოყალიბდა სტუდენტებში გურამ თევზაძის, როგორც „მრისხანე პროფესორის“, სტერეოტიპი, თუმცა, მისი მიზეზით უნივერსიტეტიდან გარიცხული სტუდენტის შესახებ არაფერი მსმენია. ბოლოს, როგორც წესი, სამოწყალო სამიანს მაინც გაიმეტებდა ხოლმე. სინამდვილეში, ბატონი გურამის „მრისხანება“ გამოიხატებოდა მომთხოვნელობაში, პრინციპულობაში და ბოლოს... შემწყნარებლობაში.

როგორც სტუდენტი, ცუდად არ ვსწავლობდი, მაგრამ დიდ დროს გართობაში ვფლანგავდი. IV კურსის II სემესტრში დაგვეწყო ურთულესი საჯილდაო სპეკკურსი კანტის „წმინდა გონების კრიტიკაში“, რომელსაც გურამ თევზაძე კითხულობდა. ყველა ლექციას ვესწრებოდი, მაგრამ სემინარებს ვაცდენდი, თუმცა ბოლოს მთელი ჩემი ძალა და ენერგია გურამ თევზაძის საგნის მომზადებას მოვახმარე, გამბედაობა მოვიკრიბე და გამოცდაზე პირველი გავედი. რამდენიმე დამატებითი კითხვის შემდეგ დამაკმაყოფილებელი დამიწერა, მაგრამ არ დავეთანხმე. რამდენიმე დღის შემდეგ განმეორებით გამოცდაზე გავედი. ამჯერად პროფესორმა „ოთხიანზე“ შეაფასა ჩემი შრომა — კვლავ გავაპროტესტე და მესამედაც გავედი გამოცდაზე. ბატონმა გურამმა „ხუთიანი“ დამიწერა და დასძინა, რომ ამის გაკეთებას პირველივე გამოცდაზე აპირებდა, თუმცა, იმიტომ „დამსაჯა“, რომ სემინარებს არ ვესწრებოდი. ამ ისტორიაში მთავარი ის არის, რომ ურთულესი ბარიერის წარმატებით გადალახვამ რწმენა შემმატა. რომ არა ეს „ბეწვის ხიდი“, შეიძლება ფილოსოფიას საერთოდ არ გავყოლოდი, ყოველ შემთხვევაში, ასე წარმატებული მაინც ვერ ვიქნებოდი... ბატონმა გურამმა, ასევე, დიდი როლი ითამაშა „საპროფესოროდ მოსამზადებლად“ ჩემს დატოვებაში. შემდეგ იყო მისი ფილოსოფიური სემინარები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, სადაც შემდგომში არაერთი ცნობილი ქართველი ფილოსოფოსი ჩამოყალიბდა.

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის 1986 წლის 30 იანვრის დადგენილებით ფილოსოფიის ინსტიტუტს დაეკვალა ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის ოთხტომეულის მომზადება. ბატონი გურამი ამ გამოცემის ჯერ მთავარი რედაქტორის მოადგილე იყო, ხოლო შემდგომ მთავარი რედაქტორი. მან, აგრეთვე, მოამზადა სტატიები და IV ტომებისთვის. მე, როგორც სარედაქციო კოლეგიის პასუხისმგებელ მდივანს, ძირითადად, ბატონ გურამთან მიხდებოდა ურთიერთობა. ოთხტომეული 2010 წელს დასრულდა და იგი საქართველოს ეროვნული პრემიით აღინიშნა. ასევე ვთანამშრომლობდი გურამ თევზაძესთან ზურაბ კაკაბაძის ფილოსოფიური შრომების ერთტომეულის მოსამზადებლად და ქართული ფილოსოფიური აზრის ისტორიის ოთხტომეულის მე-2 გამოცემისას.

ბოლოს ბატონ გურამს გასული წლის 11 მაისს შევხვდი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სხდომათა დარბაზში, სადაც წავიკითხე მოხსენება თემაზე: „ახალი რელიგიური გამოწვევები“.

რამდენიმე თვე ბატონი გურამი შეუძლოდ იყო და მისი მდგომარეობა დღითიდღე უარესდებოდა. მისი მოღვაწეობის შესახებ მაშინაც დავწერე მოგონება, რომელიც გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნდა. როგორც ჩემთვის ცნობილია, ამ წერილით ბატონმა გურამმა ძალიან გაიხარა“, — წერს ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი მიხეილ მახარაძე.

მოამზადა **ᲨᲣᲠᲗᲮᲘᲐ ᲒᲔᲠᲝᲨᲕᲘᲚᲛᲐ**

ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲔᲑᲘ ᲘᲬᲧᲔᲑᲐ ᲐᲥ!

ᲜᲐᲢᲝ ᲝᲑᲝᲚᲐᲫᲔ

თსუ-ის სტუდენტური საერთო საცხოვრებლის კომპლექსი ლისის ტბასთან 2018 წლის დასაწყისიდან გაიხსნა. კომპლექსი 3 ოთხსართულიანი საცხოვრებელი კორპუსისა და საზოგადოებრივ-ადმინისტრაციული დანიშნულების შენობისგან შედგება. ეზოშია განთავსებული ღია ტიპის სპორტული მოედანი, გარე ტრენაჟორები... სტუდენტურ საერთო საცხოვრებელში მაქსიმალურად არის დაცული უსაფრთხოების ნორმები, ტერიტორია 24 საათიან რეჟიმში დაცვის თანამშრომლებისა და ვიდეოთვალის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება.

„თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში დავამთავრე ბაკალავრიატიც და მაგისტრატურაც, ახლა დოქტორანტურის II კურსზე ვსწავლობ. თამამად შემიძლია ვთქვა, რომ ეს არის საუკეთესო ადგილი, სადაც სტუდენტს აკადემიური წარმატების მისაღწევად შესაბამისი გარემო აქვს შექმნილი. აქ გვაქვს ფეხბურთისა და კალათბურთის მინისტადიონი, მაგიდის ჩოგბურთი, ეზოს ტრენაჟორები... ვართ ლისის ტბასთან ახლოს, რაც საშუალებას გვაძლევს ჯანსაღი ცხოვრების წესით ვიცხოვროთ“, — ამბობს იურიდიული ფაკულტეტის საერთაშორისო სამართლის მიმართულების სტუდენტი ემილიან კილაძე.

სტუდენტებს საერთო საცხოვრებელში შეუძლიათ ისარგებლონ კომპიუტერული რესურს-ცენტრით, რომელიც უზრუნველყოფილია ინტერნეტით. აქვეა სამედიცინო პუნქტი, კაფეტერია (რომელიც სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარების დროს ფუნქციონირებს), დაგეგმილია ბიბლიოთეკის ამოქმედებაც.

რაც შეეხება საყოფაცხოვრებო პირობებს, საცხოვრებელ კორპუსებში სასტუმროს ტიპის ბინებია, ცალკეა სამრეცხაო, სამზარეულო და სხვა დამხმარე სახის ინფრასტრუქტურა. საერთო საცხოვრებლის კომპლექსი ადაპტირებულია შშმ პირთათვის.

„რეგიონიდან ვარ და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შარშან ჩავაბარე. თბილისში ნათესავები ყველას გვყავს, თუმცა სტუდენტს სჭირდება თავისი პირადი სივრცე, სამეცადინო გარემო, დასვენებისთვის საჭირო ღონისძიებები, რაც სახლის პირობებში ვერ ხერხდება. თბილისიდანაც რომ ვყოფილიყავი, აქ ცხოვრება საუკეთესო არჩევანი იქნებოდა, რადგან აქ სწავლისთვის შესაფერისი გარემოა, ვცხოვრობ თანაკურსელებთან ერთად, გავიცანი სხვა პროფესიის სტუდენტებიც... უნივერსიტეტი, პირველ რიგში, არის ურთიერთობა, ურთიერთობები კი იწყება აქ! აბსოლუტურად ყველაფერი, მათ შორის, ადმინისტრაციაც ორიენტირებულია, რომ ჩვენ თავი კომფორტულად ვიგრძნოთ“, — გვითხრა სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის II კურსის სტუდენტმა ვიქტორია ბარათაშვილმა.

„გახსნის დღიდან აქ ვცხოვრობ, „პერფექტო“ ადგილია. ბევრი ახალი ადამიანი გავიცანი, დავმეგობრდით, სამეცადინოდ იდეალური პირობები გვაქვს, ვსეირნობთ ლისზე... ახლა ვფიქრობ, სამი წელი რომ გავა, მერე სად წავიდე? — იმდენად მომწონს ეს ადგილი“, — ასე აფასებს სტუდენტური საცხოვრებლის გარემოს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი ანა გვასალია.

ემილიან კილაძე

ვიქტორია ბარათაშვილი

მარიამ სუხიტაშვილი

ამ დროისთვის თსუ-ის სტუდენტურ საერთო საცხოვრებელს ლისზე 106 სტუდენტის მიღება შეუძლია, მათ შორის 2 ადგილი შშმ პირებისთვის არის ადაპტირებული. მიღება ელექტრონული რეგისტრაციით მიმდინარეობს. წესდების მიხედვით, უპირატესობა ენიჭება სტუდენტს, რომელსაც გარდაცვლილი ან უგზო-უკვლოდ დაკარგული ჰყავს დედა ან მამა, ასევე, სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრ სტუდენტებს და მათ, ვისი და ან ძმა უკვე არის უნივერსიტეტის სტუდ-ქალაქში მაცხოვრებელი. სხვა შემთხვევებში სტუდენტების მიღება ხდება რიგითობით, ანუ უპირატესობა ენიჭება ონლაინ რეგისტრაციისას უფრო ადრე დარეგისტრირებულ მსურველს. რეგისტრაციის დაწყების შესახებ ყველა სტუდენტს ეგზავნება შეტყობინება. თვიური გადასახადი 150 ლარს შეადგენს, თუმცა სტუდენტს, რომელსაც უზგო-უკვლოდ ჰყავს დაკარგული ან გარდაცვლილი მშობლები, ასევე სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრ სტუდენტებს და მათ, ვისაც GPA არანაკლებ 3,5 აქვს, თვეში 120 ლარის გადახდა უწევთ.

მიმდინარე წლიდან თსუ-ის საერთო საცხოვრებელი საერთაშორისო საზაფხულო სკოლების მასპინძელიც გახდა. უახლოეს მომავალში იგეგმება III კორპუსში ღუქსის ტიპის 12 ოთახის კეთილმოწყობა, რომელიც უცხოელი მოწვეული პროფესორ-მასწავლებლების მასპინძლობისთვის იქნება გამიზნული.

„ამ ეტაპზე პირველი კორპუსი ფუნქციონირებს სისტემატურად, II — დავტვირთეთ მაშინ, როდესაც საზაფხულო სკოლები იმართებოდა, III კორპუსი კი უცხოელი მოწვეული პროფესორ-მასწავლებლებისთვის უახლოეს მომავალში ამოქმედდება. საკმაოდ შინაარსიანი ზაფხული გვქონდა — აქ ჩატარდა „ახალგაზრდა ნატურალისტთა მე-6 საერთაშორისო ტურნირი“, რომლის ფარგლებში 15 ქვეყნიდან ჩამოსული სტუმრები მივიღეთ; ვუმასპინძლეთ „მეწარმეობისა და ტექნოლოგიების საზაფხულო სკოლას“, რომელშიც თსუ-ის სტუდენტები მონაწილეობდნენ; აქ გაიმართა გაერო-ს ორგანიზებული საერთაშორისო პროგრამა — „გოგონები მეცნიერებაში“, სადაც 8 ქვეყნის წარმომადგენლები იყვნენ ჩართულები. ორივე საერთაშორისო პროგრამა ყოველწლიურია და წელს პირველად აირჩიეს საქართველო. აღვნიშნავ, რომ ყველა სტუმარი ძალიან მოხიბლა აქ არსებულმა გარემომ“, — გვითხრა თსუ-ის სტუდენტური საერთო საცხოვრებლის უფროსმა სპეციალისტმა მარიამ სუხიტაშვილმა.

თსუ-ის სტუდენტური საერთო საცხოვრებლის კომპლექსის გახსნისას სტუდენტებს ტრანსპორტის პრობლემა ჰქონდათ, თუმცა ამ დროისთვის ეს საკითხი მოგვარებულია. ერთადერთი მოთხოვნა, რომელიც ამ დროისთვის სტუდენტებს აქვთ — ინტერნეტია, რომელიც საცხოვრებელ კორპუსებში, ჯერჯერობით, გაყვანილი არ არის.

ᲐᲤᲮᲐᲖᲣᲠᲘ ᲖᲔᲞᲘᲠᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲡᲬᲐᲕᲚᲔᲚᲗᲐ ᲡᲐᲧᲣᲠᲐᲓᲦᲔᲑᲝᲓ!

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევით ცენტრში 2018 წლის 1 ოქტომბრიდან იწყება მსურველთა რეგისტრაცია აფხაზური ზეპირმეტყველების დაწყებით კურსზე. მეცადინეობა დაიწყება 17 ოქტომბერს.

რეგისტრაციისთვის აუცილებელი მონაცემები: სახელი, გვარი, ფაკულტეტი, ტელეფონი, ელექტრონული ფოსტა გთხოვთ გამოაგზავნოთ მისამართზე nino_berdznishvili@hotmail.com ან მიმართეთ შემდეგ მისამართზე: თბილისი. ჭავჭავაძის გამზ. №13. თსუ-ის მე-8 კორპუსი, ოთახი №310.

ქართულ-აფხაზურ ურთიერთობათა სამეცნიერო-კვლევით ცენტრი.

კურსს გაუძღვებიან ცენტრის თანამშრომლები ლეილა ავიძბა და ესმა კოკოსკერია.

საკონტაქტო პირი:
ნინო ბერძნიშვილი;
ტელ.: 2916026; ***მობ.:*** 599574682
ფაქსი: 2252348;

ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘ

ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
ნინო კაკულია
ᲛᲗᲐᲕᲐᲠᲘ Ს�პᲔᲪᲘᲐᲚᲘᲡᲢᲘ
მაია ტორაძე
ᲢᲔᲥᲜᲘᲙᲣᲠᲘ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲘ
მანანა ჯურხაძე

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲔᲑᲘ:
ნატო ობოლაძე
თამარ დადიანი
შურთხია ბეროშვილი

ᲤᲝᲢᲝᲙᲝᲠᲔᲡ�პᲝᲜᲓᲔᲜᲢᲘ
ანა ბოლქვაძე
ᲙᲝᲛᲞ. ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲐ
ზაზა გულაშვილი

ᲠᲔᲓᲙᲝᲚᲔᲒᲘᲘᲡ ᲬᲔᲕᲠᲔᲑᲘ:
იაგო კაჭკაჭიშვილი,
მანანა შამილიშვილი,
თინათინ მარგალიტაძე,
თინათინ ბოლქვაძე,
ეთერ ხარაიშვილი,
რევაზ გველესიანი,
ირაკლი იმედაძე,
გიორგი ჯაიანი,
თემურ ნადარეიშვილი,
მორის შალიკაშვილი,
მაია ივანიძე,
ვლადიმერ მარგველაშვილი,
გიორგი ლობჟანიძე,
ეკა კვიტაშვილი

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ:
ილია ჭავჭავაძის გამზ. 13
(თსუ-ის მე-3 კორპუსი)
2 22 36 62

ᲕᲔᲑᲒᲕᲔᲠᲓᲘ:
newspaper.tsu.edu.ge

ᲔᲚ.ᲤᲝᲡᲢᲐ:
tsunewspaper@tsu.ge

1 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲠᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐ „ᲣᲜᲘ-ᲕᲔᲠᲡᲘᲐ“ ᲒᲐᲓᲘᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲣᲚ ᲢᲔᲚᲔᲕᲘᲖᲘᲔᲑᲨᲘ, ᲠᲐᲡᲐᲪ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲣᲚ ᲛᲐᲣᲬᲧᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲐ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲡ (ᲗᲡᲣ-ᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲔᲒᲘᲝᲜᲣᲚ ᲛᲐᲣᲬᲧᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲐᲡᲝᲪᲘᲐᲪᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲒᲐᲤᲝᲠᲛᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲔᲛᲝᲠᲐᲜᲓᲣᲛᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲓ).